ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba



## კახა კუკავა: „არც ნაცები, არც ქოცები!“

გვ.5

5 მაისიდან

დევიდ ბექჰემი

ჩემი მხრიდან

წიგნის სპეციალური ფასი 6,5 ლარი

გაზეთთან ერთად 7 ლარი




ხუთშაბათი, 5 მაისი, 2016

№105 (7031)

ფასი: 50 თეთრი

# „ღარიბაშვილის პრემიერობა ჩერნოვეცკის შეეწირა“



## მურმან დუმბაძე: „ივანიშვილმა კიევის მერი დაიბარა და....“



„კიევის ყოფილ მერზე ვერ ვიტყვი, რომ იყიდა. ის თავადაც მდიდარი ადამიანია და ივანიშვილის ფული არ სჭირდება. ის ფაქტი, რომ ჩვენი თანამშრომლობა აღარ გაგრძელდა, მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილს შეუძლია, ინდივიდები და პოლიტიკური ლიდერები გადაიბიროს“



გვ.3

გვ.3



## ირაკლი შიხიაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

„ნაცმოძრაობა მე დავშალე“



## დადგება თუ არა დავით ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხი

გვ.5

ზაზა ვეკუა: „მერს უნდა გავაგებინოთ, რომ ის არჩეულია“



## ნანა დევდარიანი: „ოცნება“ 50%-ს ვერ აიღებს“

გვ.2

ISSN 1987-9385

„ნაციონალებს ეს არ უშველის“



## ნოდარ ნათაძე: „პრორუსული რევანში არ გამოვა“

გვ.7

„რუსეთმა საქართველოში თავისი აგენტურა სრული შემადგენლობით აამოქმედა“



# ნანა დევდარიანი: „ოცნება“ 50%-ს ვერ აიღებს“

## „ნაციონალებს ეს არ უშველის“

ნონა ცაბაძე






– ნაციონალური მოძრაობა რომ ბოტანიკური ბაღის ირგვლივ აჟიოტაჟს ქმნის, სულ არ მიკვირს. მაგათ რა აქვთ სალაპარაკო, ნახევარი საქართველო ისე გაასხვისეს, რომ სინანული ვერავის შევატყვეთ. სწორედ მათი მთავარი იდეოლოგი ამბობდა, რომ ყველაფერი უნდა გაიყიდოს, სინდისის გარდაო, – აცხადებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში.

***– რადგან წინა ხელისუფლება ყიდდა, ამიტომ ახალმაც იგივე უნდა გაიმეოროს?***

– რა თქმა უნდა, არა. გააჩნია, ვინ ამბობს ამას. ამას როდესაც ამბობენ ადამიანები, ვინც ადრეც გარემოს დაცვით იყვნენ დაკავებული, ადრეც ედარდებოდათ ეს გასხვისებული საქართველო, მაშინ გასაგებია, მაგრამ ნაციონალებისგან ეს ყოვლად მიუღებელია!

***– წინასაარჩევნო პერიოდია და ხელისუფლება არ არის მომგებიან სიტუაციაში. უამრავ გაჭირვებულ ადამიანებს ხედავს საზოგადოება ტელევიზიით, ხალხი შიმშილობს. იმატა ამ ადამიანების რიცხვმა წინა წლებთან შედარებით?***

– ადრე ხომ ჩვენ საბჭოთა პერიოდის ვრემიას გვაყურებინებდნენ! მარტო აღმშენებლობა რომაა ქვეყანაში და არავის რომ არ უჭირს და ყველაფერი რომ გადასარევად არის. ეს იგივე ხალხი არ არის, ვინც მაშინ ვერანაირ გაჭირვებას ვერ ხედავდა?! ხომ ყველას კარგად გვახსოვს, რომ ზაფხულში მთელი რუსთავი 2-ის საინფორმაციო შემადგენლობა ბათუმში გადადიოდა, რომ თან დაესვენათ და თან დეზინფორმაციები გაევრცელებინათ. ეს ხომ ყველას კარგად გვახსოვს?!

***– იმის თქმა გინდათ, რომ აზვიადებენ და არც ასე ცუდადაა საქმე?***

– გაჭირვებული ადამიანები მაშინაც იყო, დღესაც არის და საბჭოთა დროსაც იყო. თუმცა გააჩნია, შენი ამოცანა რა არის, დახატო სურათი, რომ ქვეყანაში გადასარევადაა ყველაფერი, თუ დახატო აპოკალიფსის სურათი, რომ ისეთი რაღაცა ხდება, რაც ჯერ არ მომხდარა. ამ გაჭირვებული ადამიანების გამოყენება უნდათ საარჩევნოდ! თორემ მაგათ გაჭირვებას მთელი ცხრა წელი ზედ არ უყურებდნენ ეგენი.

**2012-ში იყო ან ნაციონალები, ან „ოცნება“, მაშინ შუა გაიკრიფა. დღეს ასე აღარ არის. პირიქით, დღეს შუა არის მოღონიერებული და განსაზღვრავს შემდეგი პარლამენტის კონფიგურაციას**

***– ნაციონალებმა აქციებს მოუხშირეს და გამოითქმის ვარაუდი, რომ საპროტესტო ტალღაზე კვლავ შეძლონ ხელისუფლებაში დაბრუნება. ამაზე რას იტყვით?***

– მაგათი დაბრუნების შანსი არ არსებობს! ეგენი რომ ეცდებიან დესტაბილიზაციას და აქედანვე ცდილობენ რევოლუციური სცენარის განვითარებას, ამას ყველანი ვხედავთ, მაგრამ 2003-ში ხალხი თუ ვერ ხვდებოდა რაღაცას, 2003-დან 2012-მდე ისე კარგად დაანახეს თავის სახე, რომ ამათ არავინ წაყვება ძალიან მცირე მხარდამჭერის გარდა.

რევოლუცია რომ მოაწყო, ამისთვის შესაბამისი სიტუაცია უნდა იყოს ქვეყანაში. ვითარება უნდა იყოს. არ არის ეს რევოლუციური სიტუაცია. არჩევნებით კი ეგენი დღეს კი არა, ვერასოდეს აიღებენ უმრავლესობას. ამიტომ წავლენ უკიდურეს გამწვავებაზე, ყველაფერს იღონებენ, რომ მოხდეს დესტაბილიზაცია, მაგრამ ხელისუფლება იმისთვის არსებობს, რომ აღკვეთოს ასეთი მცდელობები!

***– მაქსიმალურად ცდილობენ, ხაზი გაუსვან ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას. ეს მათ წისქვილზე არ დაასხამს წყალს?***

– მდგომარეობა მართლაც მძიმეა, მაგრამ ეს მაგათ რას უშველის?! ამით სხვის წისქვილზე ასხამენ წყალს, რადგან თუ მოვლენ, გაცილებით მეტი წარმომადგენლობით მოვლენ სხვა პარტიები, ვინც დღეს არასაპარლამენტო ოპოზიციაა.

***– დაკარგავს „ოცნება“ უმრავლესობას?***

– მთლიანობაში შესაძლოა 50% ვერ აიღოს და ალბათ ვერც აიღებს, მაგრამ ეს ნაციონალებს არ უშველის და მათ წარმომადგენლობას არ გაზრდის პარლამენტში, რადგან შევლენ სხვა პოლიტიკური ძალები. იმის შემდეგ, რაც კოალიციის წევრი პარტიები ცალ-ცალკე გადიან, „ქართულ ოცნებას“, რა თქმა უნდა, ყველა დანარჩენზე მეტი შანსი აქვს.

***– კოალიციაში მყოფი დანარჩენი პარტიები ვერ გადალახავენ ბარიერს?***

– გარკვეული შანსები აქვს რესპუბლიკურ პარტიასაც, რადგან ამ სამ წელიწადნახევარში ძალიან განიმტკიცეს მდგომარეობა, როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში, ისე ადგილებზე. ალასანიას რამდენიც არ უნდა დაუწეროს ენდიაიმ და აირაიმ, ძალიან სათუოა, რომ შეძლოს ბარიერის გადალახვა. რეალური პრეტენდენტები არიან პატრიოტთა ალიანსი და ბურჯანაძის კოალიცია.

***– რესპუბლიკურ პარტიას ყოველთვის დაბალი მაჩვენებელი ჰქონდათ და რის ხარჯზე უნდა ჰქონდეს წარმატების იმედი? მინისტრის პორტფელები უშველით?***

– რა თქმა უნდა, უშველით! ესეც ადმინისტრაციული რესურსია. ასევე ადგილებზეც, ადგილობრივ თვითმმართველობაშიც კარგი პოზიციები აქვთ. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სერიოზული ძალით შევლენ პარლამენტში, აქ ბარიერის გადალახვაზეა საუბარი.

***– ანუ პარლამენტს გარეთ არ დარჩებიან?***

– მე ვამბობ, რომ აქვთ შანსი, თუმცა ყველაფერი წყდება არჩევნების დღეს. ჯერ წინ მთელი წინასაარჩევნო პროცესია და ვნახოთ, რა და როგორ იქნება. ძალიან ბევრი ამომრჩეველი ბოლო დღეს იღებს გადაწყვეტილებას. კვლევების მიხედვითაც ჩანს, რომ საკმაოდ მაღალი პროცენტია, რომელსაც ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, ვის მისცემს ხმას.

***– საუბარია, რომ არჩევნებამდე რესპუბლიკელი მინისტრები დატოვებენ თანამდებობას. ამაზე რას იტყვით?***

– არა მგონია, იმიტომ, რომ იმ მომენტმა ჩაიარა, როცა ეს შეიძლებოდა მომხდარიყო. როგორც ჩანს, შეთანხმდნენ იმაზე, რომ არჩევნებამდე ასეთი ცვლილებები არ იქნება. თუმცა, თუ სიტუაცია დაიძაბა, ხანდახან ხდება, რომ ხელისუფლება იძულებულია, რაღაც ნაბიჯები გადადგას, რომ აჩვენოს საკუთარი ქმედუნარიანობა. არც ეს არ არის გამორიცხული, მაგრამ ამ ვითარებაში ეს არ ჩანს.

დღეს სხვა გარემოა, სხვა არჩევანია. 2012-ში იყო ან ნაციონალები, ან „ოცნება“, მაშინ შუა გაიკრიფა. დღეს ასე აღარ არის. პირიქით, დღეს შუა არის მოღონიერებული და განსაზღვრავს შემდეგი პარლამენტის კონფიგურაციას.

***– დავა მიდის იმის თაობაზე, როდის დაიწყოს წინასაარჩევნო კამპანია, 3 თუ 5 თვით ადრე. მოუწოდებენ პრეზიდენტს, რომ გადახედოს საკუთარ დადგენილებას. რას ფიქრობთ თქვენ, როგორც ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე?***

– სიტყვა არის ჩიტივით. უკვე ითქვა და გაფრინდა. მორჩა, წინასაარჩევნო რეჟიმი უკვე ჩართულია! ახლა რასაც არ უნდა გადახედო, არაფერი შეიცვლება. პარტიების აქტივობიდანაც ჩანს, რომ უკვე დაწყებულია წინასაარჩევნო კამპანია.

საერთოდ, ამას არ წყვეტს ხოლმე რომელიმე ერთი თანამდებობის პირის განცხადება. როდესაც რამდენიმე თვეა დარჩენილი არჩევნებამდე, წამმზომი არის ჩართული და ყველა ცდილობს, რომ საარჩევნო ბრძოლაში საკუთარი განაცხადი გააკეთოს. ისედაც ვიცით, რომ ოქტომბერში არჩევნებია და 6 თვით ადრე სამზადისს ყველა იწყებს. 8-ში იქნება, 12-ში თუ 28-ში, ეს არაფერს ცვლის!

## ნინო ბურჯანაძე: „საერთაშორისო ორგანიზაციებს ხელისუფლებაზე სერიოზული ზეწოლა უნდა განეხორციელებინათ“

პარტია „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო დელეგაციას შეხვდა. როგორც მან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა, საუბრის ძირითადი ნაწილი ქვეყანაში საარჩევნო გარემოს არ გაუმჯობესების პრობლემებს დაეთმო.



**ნინო ბურჯანაძე:**

– ხელისუფლებამ არაფერი არ გააკეთა იმისათვის, რომ საარჩევნო გარემო შეცვლილიყო. თუნდაც ის ინფორმაცია, რომელზეც ამ ბოლო დღეების განმავლობაში ვსაუბრობთ, მხედველობაში მაქვს საარჩევნო სიები, როდესაც მოსახლეობიდან 3 500 000 ამომრჩეველია, ეს უბრალოდ არანაირად არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ რეალობას, რაც ძალიან ნათლად აჩვენებს იმას, რომ ხელისუფლება მანიპულირების და გაყალბებისათვის ემზადება.

ეს ძალიან სამწუხაროა. ჩვენ ძალიან დიდი ხანია ვსაუბრობთ ამ საარჩევნო გარემოს თემებზე, მაგრამ სრულიად ნათელი იყო, რომ ხელისუფლება არ მოდიოდა რეალურ დათმობებზე. ვფიქრობ, რომ იგივე საერთაშორისო ორგანიზაციებსაც უფრო სერიოზული ზეწოლა უნდა განეხორციელებინათ იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ საქართველოში დამთავრდეს საარჩევნო სიაზე საუბარი, დამთავრდეს იმაზე საუბარი, რომ არის მუდმივად შესაძლებლობები არჩევნების გაყალბების და მანიპულირების. ქვეყანა, სადაც სამ მილიონ ნახევარი მოსახლეობაც კი არ ცხოვრობს, შეუძლებელია არჩევნებს ატარებდეს სამ მილიონ ნახევარი ამომრჩევლის სიით და შემდეგ ხელისუფლებას პრეტენზია ჰქონდეს, რომ არჩევნები სამართლიანი და დემოკრატიულია.

**ნიუსპრესი**

## ივანე კილურაძემ ელიზბარ ჯაველიძეს „მოსყიდული“ უწოდა

მეცნიერებათა აკადემიაში გამართულ შეხვედრაზე ივანე კილურაძემ ელიზბარ ჯაველიძეს „მოსყიდული“ უწოდა ეს კანონპროექტი პარლამენტში იმიტომ გააქვთ, რომ გიორგი კვესიტაძე და როინ მეტრეველი თანამდებობიდან გადადგნენ, – ამის შესახებ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში შეხვედრაზე სიტყვით გამოსულმა აკადემიკოსმა ელიზბარ ჯაველიძემ განაცხადა, რომელიც „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის“ შესახებ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს გამოეხმაურა.





ელიზბარ ჯაველიძემ კანონპროექტით გათვალისწინებული სტიპენდიის ინსტიტუტის შესაძლო დაწესება გააპროტესტა და განაცხადა, რომ ამით წევრ-კორესპონდენტის სტატუსით გარდაცვლილი ქართველი მეცნიერების უგულებელყოფა მოხდება.

ელიზბარ ჯაველიძემ ასევე მიმართა დარბაზში მყოფ პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს ივანე კილურაძეს და განაცხადა, რომ იგი ეროვნული აკადემიის წინააღმდეგაა.

– აქ არის შეთქმულება, ოთხი წელია ივანე კილურაძე ებრძვის ეროვნულ აკადემიას. მას აქვს ნათქვამი, რომ სანამ კომიტეტის თავმჯდომარეა, აკადემიიდან არც ერთი წინადადება პარლამენტში არ გავა, – განაცხადა ელიზბარ ჯაველიძემ.

ივანე კილურაძემ ელიზბარ ჯაველიძეს „მოსყიდული“ უწოდა. ასევე ელიზბარ ჯაველიძის განცხადებამ დარბაზში მყოფი გოგი ჩაგელიშვილი გააღიზიანა, რომელმაც ჯაველიძის გამოსვლას „დემაგოგია“ უწოდა, თავის მხრივ ელიზბარ ჯაველიძემ ჩაგელიშვილი „დესანტად“ მოიხსენია. ჩაგელიშვილისა და ჯაველიძის შეკამათება სიტყვიერ დაპირისპირებაში გადაიზარდა. იყო ფიზიკური შეხლა-შემოხლის მცდელობაც. ისინი აკადემიის სხვა წევრებმა შეაჩერეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში „საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ კანონში“ დაგეგმილი ცვლილებების პროექტის განხილვა ამ დრომდე კამათის ფონზე მიმდინარეობს.

„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების პროექტი პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარემ ვანო კილურაძემ მოამზადა.

აღნიშნული პროექტის თანახმად, აკადემიის პრეზიდენტად და ვიცე-პრეზიდენტად არ შეიძლება დაინიშნოს ვინც 70 წლის ზემოთ არის. სტიპენდიანტებს 5 წლის ვადით აირჩევენ.

**ინტერპრესნიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ღარიბაშვილის პრემიერობა ჩერნოვეცკის შეეწირა“

შორენა მარსაგიშვილი

რა შეთანხმება შედგა ბიძინა ივანიშვილსა და ლეონიდ ჩერნოვეცკის შორის, ვინ და რა შარში გახვია ირაკლი ღარიბაშვილი, რატომ არ შეიძლება ნაციონალებთან და „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე ესაუბრება.

***– რამდენიმე თვის წინ ჩვენთან საუბარში განაცხადეთ, რომ სადღაც აპრილის თვეში პარტიის „ბედნიერი საქართველოსთვის“ ფორმირება დასრულდებოდა. აპრილი ისე გავიდა, ეს პროცესი არც დაწყებულა და, როგორც ამბობენ, არც დაიწყება. იმასაც ამბობენ, რომ აღარც თქვენ ხართ ამ პარტიაში. რა ხდება?***

– კიევის ყოფილმა მერმა ჩერნოვეცკიმ განაცხადა, რომ ის ქართულ პოლიტიკაში მოსვლას და პარტიის შექმნას აპირებდა. ამ განცხადებიდან ძალიან მალე ჩვენ შორის შედგა შეხვედრა. რამაც, როგორც ჩანს, ძალიან ააღელვა ბიძინა ივანიშვილი. ამ ამბავს არ გავახმაურებდი, თავად ჩერნოვეცკის რომ არ გაეხმაურებინა.

ამ შეხვედრის შემდეგ კიევის ყოფილმა მერმა საარჩევნო კამპანია რადიკალურად შეცვალა. ის ფიქრობს, რომ ამ არჩევნებზე მარტო გამოვა. პარტია „ბედნიერი საქართველოსთვის“ არის მხოლოდ სახელი და მეტი არაფერი. ის კენჭისყრას ქობულეთის რაიონში აპირებს. არ ვიცი, რაზე შეთანხმდა ორი მდიდარი კაცი, მაგრამ მეჩვენება, რომ ერთმანეთს ეთამაშებიან. ეს თამაში არც ერთ მათგანს არ მოუტანს სასურველ შედეგს.

ჩერნოვეცკი შეეცდება, ქობულეთში რაღაც შედეგი დადოს. ამასთან, აუცილებლად უნდა ახსოვდეს, რომ „ქართულ ოცნებას“ მისთვის მისაცემი ხმა არ აქვს.

***– თქვენ თქვით, რომ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ კიევის ყოფილმა მერმა საარჩევნო სტრატეგია შეცვალა. თქვენთან თუ ჰქონდა ამ თემაზე საუბარი და რითი ახსნა ეს ყველაფერი?***





## მურმან დუმბაძე: „ივანიშვილმა კიევის მერი დაიბარა და....“

– მას შემდეგ, რაც ის ივანიშვილს შეხვდა, ჩვენ შორის ურთიერთობა აღარ ყოფილა. შესაბამისად, არანაირი განმარტება არ მიმიღია და არც ის ვიცი, რაზე მოილაპარაკა მან ივანიშვილთან. რადგან მან პარტიის მშენებლობა და ჩემთან თანამშრომლობა აღარ გააგრძელა, რაღაც დასკვნის გაკეთება ძნელი საქმე არ არის.

***– ფიქრობთ, რომ ჩერნოვეცკისთან თქვენი თანამშრომლობა ივანიშვილმა ჩაშალა?***

– მოდით, ამ პროცესს ჩაშლას ნუ დავარქმევთ, ეს უფრო იყო დაშლა.



***– ამ შეხვედრამდე ჩერნოვეცკისთან სამომავლო გეგმები უკვე შეთანხმებული გქონდათ?***

– ჩვენ შევთანხმდით, რომ პარტიულ სტრუქტურებს მთელი ქვეყნის მასშტაბით შევქმნიდით. დავიწყეთ ისეთი ადამიანების მოძიება, რომლებიც ბოლო 25 წლის მანძილზე საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩანდნენ. ჩერნოვეცკისთან შეხვედრაზე სერიოზული გეგმა დავსახეთ, მაგრამ მერე გამოჩნდა ივანიშვილი და ყველაფერი შეიცვალა. შესაძლოა, ჩერნოვეცკი დაარწმუნეს, რომ ის ქობულეთის მაჟორიტარი გახდება, მაგრამ ეს იოლი საქმე არ იქნება. მას „ქართული ოცნება“ სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს.

იმისთვის, რომ არჩევნები მოიგო, საჭიროა, გვერდით გამოცდილი გუნდი გყავდეს. მას ჰგონია, რომ საქველმოქმედო საქმიანობა, რასაც ის ეწევა, პარლამენტში შესვლაში დაეხმარება, რაც ასე ნამდვილად არ არის. მას წინ სერიოზული კონკურენცია ელოდება.

***– თქვენ თუ აპირებთ მისთვის კონკურენციის გაწევას?***

– მე ვრჩები პოლიტიკაში. შესაბამისად, ვერავის დავპირდები, რომ კონკურენციას არ გავუწევ. თავის დროზე „ახალ თაობასთან“ საუბარში კარგად ავხსენი, თუ რატომ დავთანხმდი ჩერნოვეცკისთან თანამშრომლობას. ახლაც გავიმეორებ, რომ ის ელექტორატის თვალსაზრისით ვერაფრით დამეხმარებოდა. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა მის ფინანსებს.

საქართველოში პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა იმიტომ არის სუსტი, რომ დაფინანსება არ გააჩნია. პოლიტიკურ საქმიანობას ფული სჭირდება. ამ შემთხვევაში ჩერნოვეცკი გამოსადეგი კაცი იქნებოდა. პოლიტიკის წარმოების თვალსაზრისით კი ჩვენ გვქონდა უზარმაზარი გამოცდილება, რაზეც კიევის ყოფილმა მერმა უარი თქვა. ამის მიუხედავად, ჩვენ ყველგან გვეყოლება საკუთარი კანდიდატები.

***– ახალი პარტიის შექმნას აპირებთ თუ ვინმესთან გაერთიანდებით?***

– ამ ეტაპისთვის არც ერთ პარტიასთან არ ვთანამშრომლობ. ამის მიუხედავად, მე და ჩემი გუნდი ვრჩებით პოლიტიკაში და მზად ვართ ნებისმიერ პარტიასთან ვითანამშრომლოთ, რომელიც 2 პირობას შეასრულებს. პირველი, ეს პოლიტიკური გუნდი არ უნდა თანამშრომლობდეს ნაციონალურ მოძრაობასთან და მეორე – ამ გუნდში ან კოალიციაში არ უნდა იყოს შესული „ქართული ოცნება“.

„ქართული ოცნება“ 3,5 წელია, რაც ხელისუფლებაში მოვიდა. ამ პერიოდმა დაამტკიცა, რომ მასა და ყოფილ ხელისუფლებას შორის დიდი განსხვავება არ არის. ერთი წუთით დავუშვათ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ 2016 წლის არჩევნებში უმრავლესობა მოიპოვა. ასეთ შემთხვევაში გარწმუნებთ, რომ ერთი წლის შემდეგ ის ერთი-ერთში დაემსგავსება ნაციონალურ მოძრაობას.

ასპარეზზე გამოჩნდა რამდენიმე ახალი პარტია და ალბათ მომავალშიც გამოჩნდებიან. მეჩვენება, რომ ისინი თანამშრომლობენ „ქართულ ოცნებასთან“.

***– მხედველობაში გირჩები და პაატა ბურჭულაძე გყავთ?***

– მეჩვენება, რომ ყველა ახალი ძალა ხელისუფლებასთან არის ალიანსში. ივანიშვილი არის

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ირაკლი შიხიაშვილი პოლიტიკაში ბრუნდება

შორენა მარსაგიშვილი

**ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის ყოფილი თავკაცის ირაკლი შიხიაშვილის პერსონა ისევ აქტუალურია.**

**გუშინ, 4 მაისს, მან გვამცნო, რომ პოლიტიკაში ბრუნდება და მაჟორიტარად იყრის კენჭს.**

**ამ ამბამდე რამდენიმე დღით ადრე ქალაქში ხმა გავარდა, რომ შიხიაშვილმა ამერიკაში პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა.**

ეს ინფორმაცია მაშინ გავრცელდა, როცა ის შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა. მან ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო და მალევე დაბრუნდა სამშობლოში.

ყოფილი დეპუტატი მეგი გოცირიძე კი დღემდე ამტკიცებს, რომ შიხიაშვილი აშშ-ში საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს შეხვდა და თავშესაფარი ითხოვა.

– ეს ინფორმაცია მივიღეთ ძალიან სარწმუნო წყაროებიდან. ამაზე ამბავი რომ არ აგვეტეხა, შიხიაშვილი ქვეყნიდან გაიქცეოდა და პოლიტიკურ თავშესაფარს მიიღებდა, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში მეგი გოცირიძემ.

ამერიკიდან დაბრუნებულმა შიხიაშვილმა ყველასთვის მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო და განაცხადა, რომ საპარლამენტო არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას.

– მე მაქვს პოლიტიკური გეგმები, არ გამოვრიცხავ არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებელ მაჟორიტარად. როდესაც საარჩევნო პერიოდი დაიწყებს ათვლას, უფრო მეტ დეტალზე მაშინ ვისაუბრებ. საერთოდ თუ ხელისუფლებასთან არ ხარ, აუცილებლად მისი ოპონენტი ხარ? მე მიმაჩნია, რომ ხელისუფლების კრიტიკა ჩემი თვითმიზანი არასდროს იქნება. ჩემი მიზანი იქნება ვაკეთო საქმე.

მე მყავს გუნდი, რომელიც არჩევნებზე იქნება ჩემ გვერდით. საუბარი მექნება ყველასთან. ვისაუბრებ ყველასთან იმაზე, რომ სამართლიანად ჩატარდეს არჩევნები, ყველას ჰქონდეს თანაბარი პირობები, – განაცხადა შიხიაშვილმა.

მისი მისამართით ნაცმოძრაობის წევრები განსაკუთრებულ აგრესიას ამჟღავნებენ. მათ შორის შავმა კატამ 2012 წელს ჩაირბინა. საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე, შიხიაშვილმა დედაქალაქის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობა მიატოვა და სხვებთან ერთად „ქართული ოცნების“ ფრაქცია ჩამოაყალიბა.

ამ ამბავს ყოფილი ხელისუფლება მას დღემდე ვერ პატიობს, მოქმედმა კი თავგამოდება დაუფასა და ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ის დედაქალაქის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

დედაქალაქის საკრებულოში შესვლას 2014 წელსაც აპირებდა, მაგრამ მაშინ კახა კალაძემ სიაში არ შეაყვანინა. მიზეზად მისი ნაციონალური წარსული დაასახელა. არადა, შიხიაშვილი დღემდე ამტკიცებს, რომ ნაციონალი არასდროს ყოფილა.

– ნაციონალური მოძრაობის წევრი არასოდეს ვყოფილვარ, მე მათი

## „ნაცმოძრაობა მე დავშალე“

ფრაქციის წევრი ვიყავი. პოლიტიკური პლატფორმის შეცვლა, მგონი, მხოლოდ აქ ითვლება სირცხვილად. მე ვიყარე კენჭი პარტიის სიით, მაჟორიტარად, მაგრამ ეს არ ნიშნავს პარტიის წევრობას. თავის დროზე მე ვიყავი ლიბერალური პარტიის წევრი. ნაციონალურ მოძრაობას 2012 წლის არჩევნებამდე გავემიჯნე. იმდენი იძახა ნაციონალურმა მოძრაობამ „პორტირებული შიხიაშვილი“, რომ მერე ადამიანებს რატომღაც დაავიწყდათ, რომ შიხიაშვილი ამ პარტიას არჩევნებამდე გაემიჯნა. განცხადება არჩევნებამდე 5 დღით ადრე გაკეთდა, თუმცა გამიჯვნა, რეალურად, 11 თვით ადრე მოხდა. პირველ სექტემბრამდე გამიჯვნა ნიშნავდა ნაციონალური მოძრაობის განრისხებას. ცივი წყალი დალიოს ნაციონალურმა მოძრაობამ, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში შიხიაშვილმა.

ის იმ მიზეზებსაც განმარტავს, თუ რატომ ვერ იტანენ მას ნაციონალები.

– ამ პარტიას შიხიაშვილი განა იმიტომ არ უყვარს, რომ მარტო მათ ფრაქციას გაემიჯნა, არამედ იმიტომ, რომ შიხიაშვილმა მოახერხა და ჯერ უმრავლესობა, თავის მეგობრებთან ერთად დაუშალა, შემდეგ ქალაქის მერის ერთპიროვნული მმართველობა დაანგრია და საკრებულოში სამართლიანი გარემო დატოვა, – აღნიშნავს ის.

◆ ◆ ◆

შიხიაშვილის მეორედ მოსვლის



ამბავი ნაციონალებს არ მოეწონათ. განსაკუთრებით აღშფოთდა მეგი გოცირიძე. განცხადებამ იმის შესახებ, რომ ნაცმოძრაობა შიხიაშვილმა დაშალა, ყოფილი დეპუტატი სულ გადარია.

– რისი ან ვისი დამშლელია შიხიაშვილი? ან სად ხედავს დაშლილ ნაცმოძრაობას? ჩვენი შემადგენლობა იგივე დარჩა. რამდენიმე გამყიდველის წასვლით არაფერი დაგვკლებია. რაც შეეხება დაშლას. დაშლა და დაშლილები შიხიაშვილმა „ქართულ ოცნებაში“ მოიკითხოს. ცოტაც გაუძლოს და ქოცებთან ერთად ჩავაბარებთ მაგას ელიავაზე დაშლილებში, – აღნიშნავს გოცირიძე.

ის დარწმუნებულია, რომ შიხიაშვილი ვერც პოლიტიკურ პარტიას შექმნის და ვერც არჩევნებს მოიგებს. მისი მტკიცებით, პოლიტიკაში შიხიაშვილი შიშმა დააბრუნა.

– მას შემდეგ, რაც ამერიკული გეგმა ჩავუშალეთ, შიხიაშვილი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და გამოსავლის ძიება დაიწყო. ყველამ კარგად იცის, რა საგმირო საქმეები ჩაიდინა მან ვეტერანთა დეპარტამენტში. იქ აუდიტის სამსახური აპირებს შესვლას და შიხიაშვილს გაფლანგული ფულების უკან მოტანა მოუწევს. შესაძლოა, ის სასამართლოს წინაშეც წარდგეს. მას ეშინია და ცდილობს, გამოსავალი იპოვოს. „ქართულმა ოცნებამ“ ის მოისროლა და ახლა დამოუკიდებლად უნდა პარლამენტში მოხვედრა. ეს არ გამოვა, მას ხმას არავინ მისცემს, – ამტკიცებს ყოფილი დეპუტატი.

მისი განმარტებით, შიხიაშვილის გარშემო არ ეგულება ადამიანი, რომელიც მას ხმას მისცემს.

– რომელი არჩევნების მოგებაზე მელაპარაკებით? იცით, რომ მაგას საკუთარი ოჯახის წევრებიც კი არ აძლევენ ხმას? არ გჯერათ? აბა იკითხეთ, მამამისი 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე რომელი კანდიდატის შტაბის უფროსი იყო, რომ არ იწვალოთ, გეტყვით, შიხას მამა სამგორის რაიონში გრეჩიხას, იგივე ლევან გაჩეჩილაძის საარჩევნო შტაბს მეთაურობდა. ასე რომ, შიხას მატარებელმა ჩაიარა, – ამბობს გოცირიძე.

# ბათუმში მშენებარე კორპუსიდან ჩამოვარდნის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა

ბათუმში, ლუკა ასათიანის ქუჩაზე მშენებარე კორპუსის მე-6 სართულიდან მამაკაცი გადმოვარდა. ის ადგილზე გარდაიცვალა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბათუმის სასწრაფო დახმარების ცენტრის ხელმძღვანელმა მინდია კახიძემ განუცხადა, გამოძახებიდან ხუთ წუთში სასწრაფოს ბრიგადა ადგილზე იყო, თუმცა მამაკაცი გარდაცვლილი დახვდათ.

მინდია კახიძის განმარტებით, ექიმებმა გარდაცვალება ადილზევე დააფიქსირეს, თუმცა გარშემომყოფების თხოვნით მამაკაცი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

შსს-ს ცნობით, მომხდართან დაკავშირებით, საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა, რაც სამშენებლო საქმიანობის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ნუგზარ მალაღურაძე: „ნაციონალურ მოძრაობას ბიძინა ივანიშვილთან პირადი მტრობა აქვს“

ნათია ხურცილავა




დედაქალაქის საკრებულოს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ მალაღურაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ბოტანიკური ბაღის მიმდებარე 29 ჰექტარი მიწის ნაკვეთის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს ნაციონალური მოძრაობის წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილად თვლის.

***— ბატონო ნუგზარ, ნაციონალური მოძრაობა ითხოვს, რომ პარლამენტში გაიმართოს აღნიშნულ საკითხზე მოსმენა, მათ გარემოს დაცვის მინისტრიც დაიბარეს. ასევე ისინი საკრებულოს საგანგებო სხდომის მოწვევას ითხოვენ. როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, აპირებთ სხდომის მოწვევას?***

— როდესაც ბოტანიკურ ბაღს ახსენებენ, ეს არის როგორც ორიენტირი და არა ბოტანიკური ბაღის ტერიტორია, ასეთ ორიენტირად ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ მთაწმინდის პარკი. აღნიშნული ტერიტორიის გასხვისება სახელმწიფოს მიერ კანონის სრული დაცვით მოხდა. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იყიდდა იმ ტერიტორიას, ეს იქნებოდა ივანიშვილი თუ მალაღურაძე, ვინაიდან კანონის ფარგლებში მოხდა ყველა პროცედურა და არაფერი დარღვეულა.

ეს არის ნაციონალური მოძრაობის მიერ დაწყებული წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი და სწორედ ამ კონტექსტში მოქმედებს ნაციონალური მოძრაობა. ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ მოინელა, 2012 წელს ქართველმა ხალხმა და ბიძინა ივანიშვილმა არჩევნებში სრულიად სამართლიანად რომ დაამარცხა. ვერ მოინელეს, რომ ხელისუფლებას ჩამოშორდნენ. მთელი 9 წელი მათ საკუთარ კანტორად ჰქონდათ მთელი ქვეყანა.

***— მხოლოდ ეს არის მიზეზი?***

— რა თქმა უნდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო როდესაც ყიდის, მაგალითად, ნაკვეთს, რადგან ყველაფერს თვითონ ვერ მოუვლის, და როდესაც კერძო სექტორი შემოჰყავს, ამით ივსება ბიუჯეტი, ამით იქმნება სამუშაო ადგილები, ამით ვითარდება ინფრასტრუქტურა, ქალაქი და მისი მიმდებარე ტერიტორია. სახელმწიფოს მიერ ტერიტორიების, მიწის ნაკვეთების აუქციონზე გატანა კანონდარღვევა არ არის, ეს არ არის ცუდი, რადგან კერძო სექტორმა უნდა განავითაროს ინფრასტრუქტურა, უნდა შექმნას სამუშაო ადგილები და ა.შ. ეს არ არის ახალი ამბავი. გამაგებინეთ, რა შუაშია აქ ბოტანიკური ბაღი!

***— იმ აუქციონზე, სადაც იყო ეს მიწის ნაკვეთი გატანილი, მხოლოდ ერთი კომპანია იღებდა მონაწილეობას. ეს რამდენად სამართლიანია?***

— მითხარით მექანიზმი, როგორ უნდა აიძულო სხვა კომპანიები, რომ აუქციონში მიიღონ მონაწილეობა, რომ მხოლოდ ერთი კომპანია არ იყოს წარმოდგენილი?! ასეთი მექანიზმი უბრალოდ არ არსებობს. აუქციონი გამოცხადდა და მასში მიიღო კომპანიამ მონაწილეობა.

***— ნაციონალური მოძრაობა თუ წინასაარჩევნო პიარისთვის იყენებს ამ თემას, რატომ არ ხდება სრულყოფილი განმარტებები, თუნდაც საკრებულოს სხდომის მოწვევა, რომ მოსახლეობისთვის გასაგები გახდეს, რომ იქ არავითარი კითხვის ნიშნები არ არის?***

— მეტი რა განმარტებები უნდა გაკეთდეს, ყველაფერი არის ნათელი. გეუბნებით, რომ არავითარი კანონი არ დარღვეულა. თბილისის მერმა გააკეთა განმარტება, ასევე მთავრობის სხვა წევრებმა, მეტი რა განმარტება უნდა გაკეთდეს. სისულელეებზე საკრებულოს სხდომას არ მოვიწვევთ. მე, მაგალითად, მხარს არ დავუჭერ სხდომის მოწვევას, რადგან სისულელედ მიმაჩნია ამ საკითხზე სხდომის მოწვევა. არავითარი არგუმენტი და საფუძველი სხდომის მოწვევის არ არსებობს. ყველა კითხვაზე ადეკვატური პასუხი გაცემულია.

***— ადეკვატური იყო ეს განმარტებები?***

— როგორ არ იყო, ისევ გეუბნებით, რას ნიშნავს ადეკვატური იყო?! ვინ უნდა შეაფასოს, იყო თუ არ იყო ადეკვატური. რა განცხადებებიც არ უნდა გაკეთდეს და როგორადაც არ უნდა დაამტკიცო, რომ არავითარი კანონი აქ არ დარღვეულა, ნაციონალურ მოძრაობას პირადი მტრობა გააჩნია ბიძინა ივანიშვილისადმი. ისინი გაბრაზებულები არიან და ამიტომ ყველაფერს იკადრებენ, მაგრამ ყველაფრის მკადრებლებზე საზოგადოებას აქვს თავისი შეხედულება. მათ ვერ მოინელეს, რომ არჩევნებში დამარცხდნენ.

***— ნაციონალური მოძრაობის გარდა, არასამთავრობო ორგანიზაციებიც აპროტესტებენ და აცხადებენ, რომ აქციებს გამართავენ. ამას როგორ ხსნით?***

— არასამთავრობო ორგანიზაციების ერთი ნაწილი არის ამა თუ იმ პარტიების სატელიტები. ეს არის ფაქტი, სამწუხარო რეალობა. ცხადია, ეს არ ეხება ყველას.

***— ნაციონალური მოძრაობა აცხადებს, რომ საპარლამენტო არჩევნებში „ქართულ ოცნებას“ დაამარცხებს.***

— ნეტარ არიან მორწმუნენი. ნაციონალურ მოძრაობას მთელი ამ ხნის მანძილზე არაფერი შეუცვლია, მათ ისევ ისე ტყუილზე ააგეს, როგორც სჩვევიათ. ტყუილის ტირაჟირებით იგივე რეჟიმში აგრძელებენ, არადა ვერ ხვდებიან, რომ ქართველმა ხალხმა ტყუილში ცხოვრების გზა უკვე გაიარა და აღარასდროს იქ აღარ დაბრუნდება. თავისუფლების იმ ხარისხს, რომელიც ხალხმა მოიპოვა, არასდროს დათმობს.



„სისულელეებზე საკრებულოს სხდომას არ მოვიწვევთ“

***— ბატონო ნუგზარ, კონკრეტული ტერიტორია, რომელიც აუქციონზე გაიდა, ბოტანიკური ბაღის შემადგენლობაში არ იყო?***

— აუქციონზე რაც გაიდა, ის ტერიტორია ბოტანიკურ ბაღს არ ეკუთვნის და არც არასდროს ეკუთვნოდა.

# „საქართველო — ქვეყანა, სადაც საზღვარი მოძრაობს“




**ამერიკული გამოცემა „Die Zeit“-ი აქვეყნებს მაიკლ დულფერის სტატიას საქართველოს შესახებ. უფრო კონკრეტულად, სტატიაში საუბარია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, გამყოფ ზოლზე არსებულ ვითარებასა და მცოცავ ოკუპაციაზე.**

საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ მასალის თავისუფალ თარგმანს მცირედი შემოკლებით:

აეროპორტიდან თბილისში ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩით შევდივართ — დიდ ბანერზე გამოსახული აშშ-ის მომღიმარე პრეზიდენტი ხელაწეული გვესალმება. პატარა კავკასიური ქვეყანა, რომელსაც გარს თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და რუსეთი აკრავს, პირდაპირ გაჰყვირის — ჩვენ დასავლეთისთვის ვართ!

საქართველოს ოფიციალურად აქვს აღებული პროდასავლური კურსი. აქ თერთმეტი წლის წინათ აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში სტუმრობდა, იგი ისეთი აღფრთოვანებული იყო ქართველების პატივისცემით, რომ სიხარულისაგან აცეკვდა კიდეც... თუმცა ბანერზე გამოსახული მისი მომღიმარე სახე დღეს ქართველებში უკვე ენთუზიაზმს აღარ იწვევს.

საქართველო კავკასიის პატარა, მაგრამ ამაყი შავიზღვისპირა ქვეყანაა. საქართველო დაპირისპირებულია თავის დიდ მეზობელ რუსეთთან — ჯერ კიდევ 1991 წლიდან, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა. მას შემდეგ ქვეყანა დასავლეთთან დაახლოებას ესწრაფვის. სხვათა შორის, საქართველო ისეთ ტერიტორიაზე მდებარეობს, რომელსაც ხშირად ევროპისა და რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის ზონას უწოდებენ. თბილისში ქართულ დროშებთან ერთად, ნატოსა და ევროკავშირის დროშებიც ფრიალებენ. სამწუხაროდ, ყველაფერი რომ მხოლოდ ქართულ პოლიტიკაზე იყოს დამოკიდებული, საქართველო დიდი ხანია ნატოსა და ევროკავშირის წევრი იქნებოდა, რომლებიც მას რუსეთისაგან დაიცავდნენ. საქართველო მიიჩნევს, რომ ევროპა მის თავისუფლებას, აყვავებასა და სტაბილურობას უზრუნველყოფს, მაგრამ ეს ყველაფერი ალბათობაა — ნატოს და ევროკავშირს ამ ქვეყნის კმაყოფაზე აყვანა არ სურთ. ასეთი სიტუაციის შედეგი კი ისაა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, წინა პერიოდთან შედარებით, ზოგადად საქართველოში რუსეთისადმი სიმპათიებმა მოიმატა, დასავლეთისადმი კი შემცირდა.

მართალია, დღეს პარლამენტში მხოლოდ პროდასავლური პარტიების წარმომადგენლები სხედან, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნების შედეგად პარლამენტში პრორუსული პარტიების დეპუტატთა ჯგუფიც მოხვდეს.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# „ღარიბაშვილის პრემიერობა ჩერნოვეცკის შეეწირა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ძალიან მდიდარი კაცი და მას ყველაფრის ყიდვა შეუძლია.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— შექმნილი სიტუაციიდან ჩანს, რომ ის პოლიტიკურ პარტიებსაც ყიდულობს.

***— ჩერნოვეცკიც იყიდა?***

— კიევის ყოფილ მერზე ვერ ვიტყვი, რომ იყიდა. ის თავადაც მდიდარი ადამიანია და ივანიშვილის ფული არ სჭირდება. ის ფაქტი, რომ ჩვენი თანამშრომლობა აღარ გაგრძელდა, მიუთითებს იმაზე, რომ ივანიშვილს შეუძლია, ინდივიდები და პოლიტიკური ლიდერები გადაიბიროს.

ხანმოკლე ურთიერთობის მიუხედავად, კარგად შევისწავლე ჩერნოვეცკი. ის ქართულ პოლიტიკაში ღრმად არის ჩახედული და ბევრი რამე სიღრმისეულად იცის. მას არ მოსწონს ავტორიტარიზმი და, შესაბამისად, არასდროს გახდება ნაციონალების მხარდამჭერი. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ არც ივანიშვილი მოსწონს დიდად.

***— აბა, რატომ დათანხმდა მას?***

— ნუ გვავიწყდება რომ ჩერნოვეცკი მხოლოდ პასპორტით არის საქართველოს მოქალაქე. ის საქართველოში რომ დაბადებულიყო, ან დიდი ხნის წინ ჩამოსულიყო, თავისი ფინანსური რესურსებით გაცილებით მეტი შესაძლებლობა ექნებოდა. და რახან ახლა ეს მოქალაქეობა პრეზიდენტმა უბოძა, ფრთების მეტად გაშლას ვერ შეძლებდა.

***— მოდით, ისევ თქვენს სამომავლო გეგმებს დავუბრუნდეთ. თუ ვერ იპოვეთ ღირსეული პოლიტიკური პარტნიორი, მაინც მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას?***

— პოლიტიკიდან არსად ვაპირებ წასვლას და არც „ქართულ ოცნებას“ მივცემ მოსვენებას. ჩემი ჰობია გამარჯვება. გამარჯვებულთან ყოფნა დიდად არ მხიბლავს.

წინასწარ რამის თქმა ახლა გამიჭირდება, მაგრამ მგონია, რომ დამარცხებულ პარტიებთან ვითანამშრომლებ. საუბარი მაქვს იმ პარტიებზე, რომლებიც ოპოზიციაში არიან როგორც მოქმედ, ასევე ყოფილ ხელისუფლებებთან. ასეთ ხალხს შევეხიდები და დავეხმარები, რომ ხელისუფლებაში მოვიდეთ.

***— ერთ-ერთ ინტერვიუში გვითხარით, რომ 22 წელი იყავით რესპუბლიკური პარტიის წევრი. შემთხვევით, მათთან ხომ არ აპირებთ დაბრუნებას?***

— ნამდვილად დიდი ხანი ვიყავი ამ პარტიის წევრი. მათთან ურთიერთობა არასდროს გამფუჭებია, მიუხედავად იმისა, რომ პარტიიდან გამრიცხეს. ამ ადამიანებს დღესაც პატივს ვცემ, მაგრამ მათთან არ დავბრუნდები. ასეთი ნაბიჯის გადადგმა ჩემს პოლიტიკურ ბიოგრაფიას დააზარალებს. ჩემთვის დაბრუნება არც რესპუბლიკელებს შემოუთავაზებიათ.

ერთი რამეც იცოდეთ, იმისთვის, რომ არსებული ხელისუფლება დავამარცხო, მზად ვარ, ნებისმიერ ძალასთან ვითანამშრომლო.

***— მათ შორის რესპუბლიკელებთანაც?***

— ოპოზიციაში მყოფ ნებისმიერ პარტიასთან მზად ვარ სათანამშრომლოდ.

***— პატრიოტთა ალიანსთან და ბურჯანაძის პარტიასთან თუ გქონდათ რაიმე კონსულტაციები?***

— ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერთან ნორმალური და კარგი ურთიერთობა მაქვს. ამ ორ ძალასთან თანამშრომლობას არ გამოვრიცხავ. საამისოდ უნდა დამარწმუნონ, რომ არც ნაციონალებთან და არც „ოცნებასთან“ ალიანსში არ იქნებიან. თანამშრომლობა არ ნიშნავს რომელიმე პარტიაში შესვლას.

ვერავისთან თუ ვერ შევთანხმდი, არც ეგ არის პრობლემა. არსებობს დამოუკიდებელი მაჟორიტარის ცნება. მეც დამოუკიდებლად ვიყრი კენჭს ბათუმში. მაჟორიტარებთან დაკავშირებით მთელ რიგ პარტიებთან მოგვიწევს დალაპარაკება.

***— ზემოთ ახსენეთ პარტიები, რომლებიც, თქვენი თქმით, სამომავლოდ შეიქმნებიან. როგორც ამბობენ, ახალი პარტიის შექმნას აპირებს ყოფილი პრემიერი ირაკლი ღარიბაშვილი. მასთან თუ ითანამშრომლებთ?***

— მართალია, პოლიტიკაში დიდი ხანია ვარ, მაგრამ დიპლომატიური ენა ჩემთვის ცოტა უცხოა და ამჯერადაც პირდაპირ ვიტყვი სათქმელს. ყოფილ პრემიერს პოლიტიკაში დაბრუნების არავითარი შანსი არა აქვს.

***— რატომ არ აქვს ამის შანსი?***

— იმიტომ, რომ ის არ არის პოლიტიკური ფიგურა, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო შს მინისტრი და პრემიერი. ამის გარდა, ის არასდროს ყოფილა დამოუკიდებელი. ირაკლი ღარიბაშვილი დამოუკიდებლად ვერც ერთ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობდა.

არ გამოვრიცხავ, მაინც გადაწყვიტოს დაბრუნება, მაგრამ მე მასთან არ ვითანამშრომლებ. რაღაც დროის მანძილზე ჩვენ ერთ პარტიაში ვიყავით და ხშირად ვკამათობდით.

***— რამდენად ხშირად?***

— კვირაში ორჯერ მაინც. „ქართული ოცნებიდან“ ჩემი წამოსვლის მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

***— რაზე კამათობდით ყოფილ პრემიერთან?***

— კამათი ძირითადად იმ თემებზე მიდიოდა, რომლებმაც „ქართული ოცნება“ და ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანა. საუბარია ნაციონალებთან კოაბიტაციაზე. თანამდებობებზე ინიშნებოდა ისეთი ხალხი, რომლებიც რეჟიმს კი არ ემსახურებოდნენ, არამედ რეჟიმში დამნაშავეები იყვნენ. ასე რომ, მასთან თანამშრომლობა გამორიცხულია.

აქვე ერთ საინტერესო დეტალსაც გავახმაურებ — ღარიბაშვილს თანამდებობის დატოვება ჩერნოვეცკის პოლიტიკაში მოსვლის გამო მოუწია.

***— რა შუაში იყო ღარიბაშვილი მის პოლიტიკაში მოსვლასთან ან რატომ უნდა წასულიყო მის გამო?***

— ამ თემაზე ბევრი სკანდალური ინფორმაცია ვიცი, მაგრამ ამ ეტაპზე ამის მეტს არაფერს ვიტყვი. ღარიბაშვილი იმ დროს გადადგა, როცა ჩვენ საარჩევნო სიის ათეულზე ვმუშაობდით. შემდეგ კიევის ყოფილ მერს ივანიშვილი შეხვდა და მან სტრატეგია შეცვალა.

# კახა კუკავა: „არც ნაცები, არც ქოცები!“

**არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანებისთვის ემზადება და ამ ინიციატივით პარტია თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა გამოდის.**

**როგორც ოპოზიციონერმა საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, დღეს ამ ქვეყანას ორი პრობლემა აქვს: ეს არის ნაციონალური მოძრაობის და „ქართული ოცნების“ დანაშაულებრივი ჯგუფების თანამშრომლობა. ქვეყნისთვის მთავარი ამოცანა არის ის, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის სააკაშვილი და ივანიშვილი ჩამოსცილდნენ ქართულ პოლიტიკას.**

ნონა ცაბაძე

***– ფიქრობთ, რომ ამას გაერთიანებული ოპოზიცია შეძლებს?***

– ყველა ბოლო გამოკითხვა და ბოლო არჩევნები ამას აჩვენებს, რომ ცალკე აღებულ არც ერთ არასაპარლამენტო პარტიას არ ძალუძს, დაამარცხოს ან ერთი, ან მეორე პოლიტიკურ ძალა. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ერთიანობით. მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ ბევრი ზოგადი საუბრები მიდის, ჯერჯერობით კონკრეტული შედეგები არ ჩანს. ამიტომაც, ჩვენ, თავისუფალ საქართველოს, გვსურს მივმართოთ კონკრეტული წინადადებით არასაპარლამენტო პარტიებს.

***– რას შეიცავს ეს წინადადებები, რას ითხოვთ?***

– ჩამოყალიბდეს საარჩევნო ბლოკი, რომელშიც შევლენ კონკრეტული პოლიტიკური პარტიები. განვაცხადოთ ღიად, რომ არ ვაპირებთ თანამშრომლობას არც „ოცნებასთან“, არც ნაციონალებთან და არც მათ ნარჩენებთან!

***– მათი ნარჩენები ვინ არიან?***

– თქვენ იცით, რომ როგორც ნაციონალურ მოძრაობას, ისე „ოცნებას“ გამოეყო მთელი რიგი პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ახლა ცდილობენ, თავი დაიმკვიდრონ, როგორც ოპოზიციურმა ძალებმა. თუმცა ჩვენ მივიჩნევთ, რომ ისინი სრულად იზიარებენ პასუხისმგებლობას სააკაშვილის და ივანიშვილის რეჟიმების საქმიანობაზე და ამიტომ მათთან თანამშრომლობა არასაპარლამენტო პარტიების მხრიდან უნდა გამოირიცხოს!

***– რამდენად წამოვა არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანებაზე? კვოტები ყოველთვის სერიოზულ პრობლემას ქმნის ასეთ დროს.***

– დიახ, ყოველთვის მიდიოდა ხოლმე ვაჭრობა სიაში კვოტებზე, ამიტომ ჩვენ ვთავაზობთ ყველა პარტიას, სიაში კვოტები გადანაწილდეს უკანასკნელ არჩევნებში ნაჩვენები შედეგების მიხედვით.

***– ეს როგორ?***

– ვინც მიიღო 10%, ბუნებრივია, ის მიიღებს მეტ ადგილს სიაში, ვინც მიიღო 3%, და 4%, ის მიიღებს ნაკლებს. ასევე მაჟორიტარ კანდიდატებთან დაკავშირებით, ჩვენ ვთავაზობთ არასაპარლამენტო ოპოზიციას, ჩავატაროთ პრაიმერიზი და ყველა საარჩევნო ოლქში გამოვავლინოთ ყველაზე რეიტინგული კანდიდატები. ეს არის ის კონკრეტული საკითხები, რომელთა მიღწევის შემთხვევაშიც, ჩვენ შევძლებთ, ოქტომბერში დავამარცხოთ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“.

***– თუკი არ წამოვა ამაზე არასაპარლამენტო ოპოზიცია?***

– წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა პარტია, რომელიც უარს იტყვის არასაპარლამენტო პარტიების გაერთიანების გეგმაზე და თავისი 0%-იანი ბარიერის გასაძლიერებლად, ცალკე გააგრძელებს პოლიტიკურ საქმიანობას, ნებსით თუ უნებლიეთ, წყალს დაასხამს ივანიშვილის წისქვილზე. წყალს დაასხამს იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ კიდევ ოთხი წლით გააგრძელოს თავისი საქმიანობა და ნაციონალურმა მოძრაობამ კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნოს მთავარი ოპოზიციური ძალის სტატუსი.

ამ გეგმაზე პასუხი იქნება ლუსტრაცია, ვინ არის დღეს საქართველოში რეალური ოპოზიცია და ვინ არის ხელისუფლების სატელიტი!



# დადგება თუ არა დავით ნარმანიას იმპიჩმენტის საკითხი

შორენა მარსაგიშვილი

**ბოტანიკური ბაღის გარშემო ატეხილი ამბების შემდეგ დედაქალაქის საკრებულოში კიდევ ერთხელ ალაპარაკდნენ დავით ნარმანიას შესაძლო გაიმპიჩმენტებაზე.**

**ამჯერად ამ ინიციატივით ფრაქცია დემოკრატიული მოძრაობის თავკაცი ზაზა ვეკუა გამოვიდა.**

ის დარწმუნებულია, რომ ნარმანიას იმპიჩმენტს საკრებულოს სხვა წევრებიც უჭერენ მხარს. ამის მიუხედავად ამბობს, რომ პროცედურის დაწყება იოლი არ იქნება.

– იმპიჩმენტი საკმაოდ რთული პროცედურაა. ამისთვის ჯერ რიგგარეშე სხდომის მოწვევაა საჭირო, რასაც 13 ხელმოწერა სჭირდება. იმისთვის, რომ მერის უნდობლობის საკითხი დღის წესრიგში დადგეს, უკვე 25 ხელმოწერაა საჭირო. იმპიჩმენტს კი 33 ხმა სჭირდება. მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამ საქმეში უმრავლესობა მხარს დაგვიჭერს და შევძლებთ



საჭირო ოდენობით ხელმოწერების შეგროვებას. თუმცა ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ჯობია ვიმოქმედოთ, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ზაზა ვეკუა.

## ზაზა ვეკუა: „მერს უნდა გავაგებინოთ, რომ ის არჩეულია“

დემოკრატიული მოძრაობის გარდა, ნარმანიას იმპიჩმენტზე ნაციონალებიც საუბრობენ. ბოროტი ხმები იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, მერის წინააღმდეგ მმართველ კოალიციაში შემავალი პარტიებიც წავიდნენ.

– დანამდვილებით რამის თქმა გამიჭირდება. მართალია, ნარმანიას მუშაობით არც „ქართულ ოცნებაში“ არიან კმაყოფილები, მაგრამ ალბათ მაინც მას დაუჭერენ მხარს, – აღნიშნავს დეპუტატი.

მისი აზრით, დავით ნარმანიას როგორმე უნდა გააგებინონ, რომ ის თბილისელების წინაშეა პასუხისმგებელი და მათ უნდა გაუწიოს ანგარიში.

– ბოტანიკური ბაღის გარშემო დიდი ამბებია ატეხილი, მაგრამ ეს არ არის მთავარი პრობლემა. თბილისში საშინელებები ხდება. დედაქალაქს პატრონი არ ჰყავს. ნარმანია ვერ აცნობიერებს მის წინაშე არსებულ ვალდებულებებს. ამ ადამიანმა უნდა გაიგოს, რომ თბილისელების წინაშეა, პირველ რიგში, პასუხისმგებელი. მართალია, ის ვიღაცის ხათრით იქნა ამ თანამდებობაზე არჩეული, მაგრამ რაკი დანიშნული არ არის, მარტო ერთი კაცისთვის ანგარიშის გაწევას უნდა შეეშვას, – აცხადებს ვეკუა.

იმ ერთ კაცში დეპუტატი ბიძინა ივანიშვილს გულისხმობს.

– არ შეიძლება ერთი კაცის წინაშე იყო მხოლოდ პასუხისმგებელი. მისი ასეთი ქცევა იმაზე მიუთითებს, რომ მას არც თბილისი უყვარს და არც აქაურებს სცემს პატივს. აქედან გამომდინარე იმპიჩმენტზე საუბარი აუცილებლად იქნება, – ამბობს დეპუტატი.

◆ ◆ ◆

კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ ნარმანიას გაიმპიჩმინტებას გამორიცხავენ. ამასთან, კულუარულ საუბრებში ამბობენ, რომ მერი თავად აპირებს თანამდებობის დატოვებას. ამბობენ, რომ შემოდგომაზე საპარლამენტო არჩევნებთან ერთად, მერის რიგგარეშე არჩევნებიც გაიმართება.

დავით ნარმანიას მომავალს რაც



შეეხება, „ოცნების“ კულუარებში არ გამორიცხავენ, რომ ის საარჩევნო სიაში შეიყვანონ, მეორე ვერსიით, ქალაქის თავი, შესაძლოა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად მოგვევლინოს.

# ირაკლი ალასანია: „ეს ქვეყანა არავის საკუთარი ეზო არ არის“

– ეს ქვეყანა არავის საკუთარი ეზო არ არის, – ასე ეხმაურება „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია ბოტანიკური ბაღის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს.

ალასანია მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხს როგორც საკანონმდებლო მოსმენები, ისე საზოგადოებრივი პროტესტი უნდა მოჰყვეს.

**ირაკლი ალასანია:**

– გაუგონარი მასშტაბის უსამართლობა ჩაიდინეს თბილისის მერიამ და ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც თვალი დაადგეს და მიისაკუთრეს საზოგადოების და ჩვენი ყველას საკუთრება. საკანონმდებლო და სხვა დონეზეც უნდა იყოს განხილული.

ჩვენ აქტიურად ჩავებმებით პროცესში, რომელიც საზოგადოებრივ პროტესტს დააფიქსირებს. ეს ქვეყანა არავის საკუთარი ეზო არ არის. ეს არის ჩვენი საერთო ქვეყანა, აქედან გამომდინარე, ყველამ, მათ შორის, არაფორმალურმა მმართველმა ბიძინა ივანიშვილმა პატივის უნდა სცეს ქართველ ხალხს.

**ინტერპრესნიუსი**



# აპრილში პარტიებს შორის ყველაზე მეტი შემოწირულება ირმა ინაშვილის პარტიამ მიიღო

აპრილში პოლიტიკურმა პარტიებმა შემოწირულების სახით, ჯამში, 604.747 ლარი მიიღეს. პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის ინფორმაციით, გასულ თვეში ყველაზე მეტი შემოწირულება – 268.500 ლარი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ერიცხება.

შემოწირულების კუთხით, 149.020 ლარით მეორე ადგილი უჭირავს „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“, მესამე კი – 124.000 ლარით ახალ პოლიტიკურ ცენტრ „გირჩს“.

სხვა პარტიების მაჩვენებელი ასე გამოიყურება: „გაერთიანება ბედნიერი საქართველოსთვის“ – 46.939 ლარი, „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“ – 9.000 ლარი, „საქართველოს მშვიდობისთვის“ – 3.173 ლარი, „თავისუფალი საქართველო“ – 1.364 ლარი, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“ – 1.131 ლარი, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ – 900 ლარი, „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ – 600 ლარი და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ – 120 ლარი.

აღსანიშნავია, რომ „პატრიოტთა ალიანსის“ ყველაზე მსხვილი შემომწირველი მისივე წევრი მანუჩარ მაჩაიძეა. საკრებულოს წევრმა პარტიას აპრილში 60.000 ლარი შესწირა.

**ინტერპრესნიუსი**

# თბილისის ზოოპარკი ასზე მეტ ახალ ცხოველს მიიღებს

თბილისის ზოოპარკი მაისის ბოლოს, ასზე მეტ ცხოველს მიიღებს, – ამის შესახებ ზოოპარკის დირექტორმა ზურაბ გურიელიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, თბილისის ზოოპარკმა რიგის ზოოპარკიდან 7 ცხოველი უკვე მიიღო, ხოლო 100-ზე მეტ ცხოველს ისინი ევროპის სხვადასხვა ქალაქის ზოოპარკებიდან ელოდებიან.

– ველოდებით ევროპის სხვადასხვა ქალაქის ზოოპარკიდან ასზე მეტ ცხოველს, ბევრი ისეთი ცხოველი იქნება, რომელიც ჯერ არასდროს ჰყოლია თბილისის ზოოპარკს. მაგალითად, ანტილოპა გნუ და მაიმუნების ორი სახეობა, – განაცხადა ზურაბ გურიელიძემ.

ზოოპარკის დირექტორის განმარტებით, ახალი ცხოველების დასახვედრად ვოლიერები უკვე მზად არის.

ამასთან, როგორც გურიელიძემ აღნიშნა, ზოოპარკის იმ ტერიტორიაზე, რომელიც სტიქიის დროს გადარჩა, ახლა მიმდინარეობს ვოლიერების მშენებლობა, რომელიც დღე-დღეზე დასრულდება და მზად იქნება ახალი ცხოველების მისაღებად.

**ინტერპრესნიუსი**

# გუგული მაღრაძე: „მე ძალიან კარგად შემიძლია ვილაპარაკო როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად“

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის გუგული მაღრაძის განცხადებით, ინგლისურ ენაზე საუბარი მას კარგად და ამომწურავად შეუძლია.

ამის შესახებ მან „კვირას“ პრესკლუბში ისაუბრა.

– ინგლისური ენის სწავლა, მე 23 წლის ასაკში დავიწყე. სკოლაში ფრანგულს ვსწავლობდი, უნივერსიტეტშიც, მაგრამ როდესაც აღმოჩნდა, რომ სოციალურ ფსიქოლოგიაში უნდა მემუშავა და ძირითადი ლიტერატურა იქ ინგლისურენოვანი იყო, მე დავამთავრე სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტიც. ჩემი დანაშაულია ალბათ, რომ არ ვაქცევდი ყურადღებას ფონეტიკას და ორიენტირებული ვიყავი შინაარსზე, მაგრამ აბსოლუტურად ყველაფერს ვიგებ და ყველაფერს ვლაპარაკობ. ამერიკაში ინდივიდუალური შეხვედრები მქონდა, ბევრ საკითხზე ვილაპარაკეთ. ელჩის მოადგილემ აღნიშნა, რომ თუ შენნაირი ბევრი ჩამოვა და ასე დაელაპარაკება იმ ადამიანებს, რომლებიც ქმნიან პოლიტიკას, ეს ადამიანები კი არიან სახელმწიფო დეპარტამენტის და სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლები, ძალიან კარგი იქნებაო. მე ძალიან კარგად, გასაგებად და ამომწურავად შემიძლია ვილაპარაკო როგორც ქართულად, ასევე ინგლისურად. გარდა ამისა,



კანონის წაკითხვაც ვიცი, დაახლოებით 17 კანონის ინიციატორი ვარ, – განაცხადა მაღრაძემ.

**ნიუსპრესი**

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# დიმიტრი ქუმსიშვილი: „ჩვენ გზის დაგება 14%-ით გავაიაფეთ“

## ხელისუფლება 1 მილიარდ 600 მილიონი დოლარის ინვესტიციას ელოდება



წინა ხელისუფლების პერიოდთან შედარებით, დღეს სახელმწიფოს გზის დაგება 14%-ით იაფი უჯდება.

ამის შესახებ რუსთავი 2-ის გადაცემა „არჩევანში“ ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, 2006-2012 წლებში ერთი კმ გზის დაგება ჯდებოდა 11,5 მილიონი ლარი, „ქართული ოცნების“ პერიოდში კი ეს მაჩვენებელი 9,9 მილიონამდე შემცირდა.

ქუმსიშვილის განცხადებითვე, წინა ხელისუფლების დროს ყოველწლიურად იგებოდა 10 კილომეტრი გზა, ამჟამინდელი ხელისუფლების დროს კი – 28 კილომეტრი.

ვიცე-პრემიერის თქმით, საშუალო წლიური დანახარჯები ავტობანზე 2006-13 წლებში 116 მილიონი ლარი იყო, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში კი ეს მაჩვენებელი 280 მილიონია.

მინისტრმა ასევე ისაუბრა უმუშევრობის კლებაზე და აღნიშნა, რომ 2012 წლის ბოლოს უმუშევრობა ქვეყანაში 15% იყო, 2014 ბოლოს – 12,4%, რაც, მისივე თქმით, არის მინიმუმი აღნიშნული სტატისტიკის წარმოების ისტორიაში.

რაც შეეხება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, 2009-2012 წლებში, როცა ქვეყანამ 4 მილიარდი დოლარის დახმარება მიიღო, ყოველწლიურად შემოდიოდა 872 მილიონი დოლარის ინვესტიციები, 2013-2016 წლებში კი საპროგნოზო მაჩვენებელია 1,418 მილიარდი და ეს არის 62%-იანი ზრდა.

წელს, მინისტრის განცხადებით, ხელისუფლება 1 მილიარდ 600 მილიონი დოლარის ინვესტიციას ელოდება. მისივე თქმით, ამ მაჩვენებლიდან სულ მცირე 1 მილიარდ 350 მილიონი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემოვა. ამ შემთხვევაშიც კი, ვიცე-პრემიერის თქმით, ამ მიმართულებით საშუალო ზრდა 54%-იანია.

დიმიტრი ქუმსიშვილმა სოფლის მეურნეობაზეც ისაუბრა.

მისი თქმით, წლების მანძილზე, 2004-2012 წლებში, ამ სექტორში იყო 1,7%-იანი კლება, ახალი ხელისუფლების პირობებში კი 5,3%-იანი ზრდაა.

მისივე ინფორმაციით, წინა წლებში იხვნებოდა 260 ათასი ჰექტარი მიწა, ახლა კი – 307 ათასი,

დიმიტრი ქუმსიშვილმა ქვეყნის ეკონომიკის წარმატების ერთ-ერთ არგუმენტად ასევე მოიყვანა გაცემული მშენებლობის ნებართვების რაოდენობის ზრდა – 2010-12 წლებში გაცემული იყო 15.081 ნებართვა, 2013-15 წლებში კი – 23.473, რაც 56%-იანი ზრდაა.

თბილისში მშენებლობების 63%-იანი ზრდა დაფიქსირდა, აჭარაში კი – 70%-იანი.

ქუმსიშვილის თქმით, ეს მონაცემი უარყოფს ოპონენტების არგუმენტს, რომლის თანახმად, ამჟამინდელი ხელისუფლების პირობებში, ახალი პროექტები არ დაწყებულა და ყველაფერი ინერციით მიდის.

**კომერსანტ.გე**

# 2015 წელს ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა 17.6%-ით შემცირდა, ყალბი დოლარების კი 13.2%-ით გაიზარდა

2015 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა 17.6%-ით შემცირდა, ყალბი დოლარების კი 13.2%-ით გაიზარდა.

ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ეროვნული ბანკის 2015 წლის ანგარიშში.

– 2015 წელს გამოვლენილი ყალბი ლარის ბანკნოტების რაოდენობა წინა პერიოდთან შედარებით შემცირდა 17.6%-ით, ყალბი აშშ დოლარების რაოდენობა გაიზარდა 13.2%-ით, ხოლო ყალბი ევროს ბანკნოტების რაოდენობა 31.6%-ით გაიზარდა. აგრეთვე, სხვა უცხოური ყალბი ვალუტა გაიზარდა 1.5-ჯერ, – ნათქვამია ანგარიშში.

რაც შეეხება 50 თეთრის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობას, სებ-ის ანგარიშის თანახმად, ის წინა პერიოდთან შედარებით გაიზარდა 1.7-ჯერ, ხოლო 1 ლარის ნომინალის ყალბი მონეტების რაოდენობა 4.5-ჯერ შემცირდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი ყოველწლიურად, არაუგვიანეს 1 მაისისა, პარლამენტს წლიურ ანგარიშს წარუდგენს.

2015 წლის ანგარიში ეროვნული ბანკის ვებგვერდზე უკვე გამოქვეყნებულია.

# ტურისტების რაოდენობა აპრილში 17,2%-ით გაიზარდა



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა აპრილშიც რეკორდულად გაიზარდა.

კერძოდ, 2016 წლის აპრილის მონაცემებით, საქართველოს 462.480 საერთაშორისო მოგზაური ეწვია და წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ზრდამ 17,2% შეადგინა.

აპრილის მაჩვენებლებით, იმ უცხოელი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვი, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში, 171.235 და ზრდა 20%-ს შეადგენს.

ასევე გაზრდილია იმ უცხოელი მოგზაურების რიცხვი, რომლებიც ქვეყანაში ტრანზიტით ან ერთდღიანი ვიზიტით იმყოფებოდნენ.

2016 წლის აპრილში ყველაზე მეტი ვიზიტი კვლავ თურქეთიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, რუსეთიდან და უკრაინიდან განხორციელდა და ამ მიმართულებით ყველა აღნიშნული ქვეყნიდან ჩამოსულ საერთაშორისო მოგზაურთა რაოდენობა გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მეტია.

საერთაშორისო მოგზაურების ზრდა დაფიქსირდა 4 თვის მონაცემებითაც და მათმა ჯამურმა რაოდენობამ მილიონ 596.916 შეადგინა, ზრდა კი გასული წლის პირველი ოთხი თვის მონაცემებთან შედარებით, 15,4%-იანია.

ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 2016 წლის პირველ 4 თვეში 578.100 შეადგინა, რაც 17%-ით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემებზე.

პოზიტიური ტენდენცია ნარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნების მიმართულებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების ზრდის კუთხით იანვარ-აპრილშიც გამოირჩნენ იტალია + 26%, ლატვია + 25% და საფრანგეთი + 14%.

შუა აზიის ქვეყნებიდან გამოირჩევიან ყაზახეთი +29 % და უზბეკეთი + 64%, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან – ბელარუსი + 36%, მოლდოვა + 36%, ახლო აღმოსავლეთიდან – ისრაელი + 106%, ხოლო აზიის ქვეყნებიდან – არაბთა გაერთიანებული საემიროები + 141%.

**ბიპიენი**

# საქართველოში სიგარეტების იმპორტი გაორმაგდა

## შეამცირა თუ არა აქციზის გაზრდამ თამბაქოს რეალიზაცია?



საქართველოში სიგარეტების იმპორტი გაორმაგებულია. მაშინ, როდესაც ხელისუფლების მიზანი თამბაქოს მოხმარების შემცირებაა და ამ მიზნით ქვეყანა პროდუქციაზე გადასახადებს ზრდის, ხოლო იმპორტიორები გაყიდვების შემცირებაზე საუბრობენ, გაუგებარია, რამ გამოიწვია იმპორტის ზრდა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2015 წლის პირველ კვარტალში ქვეყანაში დაახლოებით 11 მილიონი დოლარის ღირებულების სიგარეტი შემოვიდა, წელს კი იმავე პერიოდში ამ მაჩვენებელმა 20,5 მილიონი დოლარი შეადგინა.

რამდენიმე კვირის წინ იმპორტიორებზე დაყრდნობით „კომერსანტი“ წერდა, რომ თამბაქოს გაყიდვები შემცირებულია. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, რამ განაპირობა ქვეყანაში იმ პროდუქციის შემოტანის ზრდა, რაზეც მოსახლეობის მოთხოვნა მცირდება?

სიგარეტის დისტრიბუტორ კომპანიებს ამ საკითხზე მკაფიო პასუხი არ აქვთ.

როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას „ჯეი თი აი კავკასიის“ კომუნიკაციების სპეციალისტი ივა ხასია აცხადებს, ბაზარზე რადიკალური ცვლილებები არც ზრდის და არც კლების მიმართულებით არ არის, ამიტომ მისთვის ოფიციალური სტატისტიკა გაუგებარია.

მისი თქმით, აქციზის განაკვეთის ზრდის შემდეგ ცვლილებები ნამდვილად მოხდა და მოსახლეობა დაბალფასიან სიგარეტზე გადავიდა.

– მაღალფასიანი სეგმენტებიდან დაბალ და საშუალო სეგმენტზე მოხდა გადმოსვლა. კონკურენტებზე მე ვერ გავაკეთებ კომენტარს, თუმცა, ბაზრის მოცულობის ცვლილება – მკვეთრი გაზრდის ან შემცირების მიმართულებით – არ გვაქვს. ერთადერთი, რა ტენდენციაც არის, გაზრდილია უკანონო შემოტანის მცდელობები, – აცხადებს ივა ხასია.

მისივე თქმით, თუ სტატისტიკა ამ მოცულობის ცვლილებას აჩვენებს, ამას ბაზარზეც უნდა მოეხდინა გავლენა, თუმცა, ასე არ მომხდარა.

სიგარეტის დისტრიბუტორი კომპანიის „იმპერიალ ტობაკოს“ წარმომადგენელი კავკასიაში ირაკლი ნადარეიშვილი კი „კომერსანტთან“ ამბობს, რომ იმპორტისა და გაყიდვების მაჩვენებელი ერთმანეთთან პირდაპირ კორელაციაში არ არის, მით უმეტეს, ისეთ მცირე პერიოდში, როგორიც 3 თვეა.

– წლის დასაწყისში კომპანიები აკეთებენ გარკვეულ მარაგებს და არ არის აუცილებელი, რომ იმ კონკრეტული თვეებისთვის იყოს განკუთვნილი ეს მარაგები, შესაძლებელია მთელი წლის განმავლობაში იყოს გადანაწილებული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პირველ კვარტალში მოხდა მარაგების დაგროვება, თუმცა, ეს უფრო მეტ პერიოდზეა გათვლილი, ვიდრე 3 თვე.

იმპორტის მაღალი მაჩვენებელი არ ნიშნავს იმავე პერიოდში გაზრდილ გაყიდვებს. შესაძლოა, მეორე კვარტალში მარაგების ხარჯზე გვქონდეს 50%-ით ნაკლები იმპორტი, ვიდრე პირველ კვარტალში, – აცხადებს ირაკლი ნადარეიშვილი.

მისივე თქმით, 2015 წლისთვის აქციზი გაიზარდა და კომპანიებმა 2014 წლის დეკემბერში მოიმარაგეს პროდუქცია, შესაბამისად, პირველ კვარტალში კლება ამას უკავშირდება.

– შეიძლება მკითხოთ, რომ წელსაც გაიზარდა აქციზი და ეს სწორი კითხვა იქნება, მაგრამ ამაზე მე ვერ მოგცემთ პასუხს, რადგან ყველა კომპანიას თავისი სტრატეგია აქვს, რომელიც მათი კომერციული ინფორმაციაა. რთულია დაზუსტებით ამაზე საუბარი. ჩვენ საკმაოდ მცირე მოცულობა გვაქვს ბაზრის და ჩვენი ქცევა ბაზარზე ვერ განსაზღვრავს ცვლილებებს. ფაქტია, რომ ბაზარი მეტ-ნაკლებად სტაბილურია, – აცხადებს ირაკლი ნადარეიშვილი.

◆ ◆ ◆

„თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელი გიორგი ბახტურიძე კი ამბობს, რომ რეალურად თამბაქოს მოხმარება მოსახლეობას არ შეუმცირებია და ამას ადასტურებს კვლევა, რომლის პრეზენტაციასაც ალიანსი მიმდინარე კვირაში გეგმავს.

– პირიქით, ტენდენცია არის მზარდი, განსაკუთრებით გოგონებში. გასულ წელს საერთაშორისო კომპანიებმა, ვისაც დიდი მარჟა ჰქონდა, ფასები შეინარჩუნეს, მიუხედავად იმისა, რომ მათ გადასახადი გაეზარდათ. 500%-იანი მოგების ნაცვლად, 470%-იან მოგებაზე რომ გავლენ, ამას დიდი დანაკლისი არ ექნებოდა მათთვის, – ამბობს გიორგი ბახტურიძე.

**სალომე მეცხვარიშვილი, კომერსანტ.გე**

# რა ფართის ბინებს ყიდულობენ თბილისში ყველაზე ხშირად?

უძრავი ქონების ბაზრის განვითარების ტემპი ბოლო დროს მცირედით შენელდა.

ე.წ. ბუმის პერიოდი დროებით წარსულს ჩაბარდა და ახლა მენაშენეები მოსახერხებელი პირობების შეთავაზებითა თუ სხვადასხვა აქციებით ცდილობენ გაყიდვების ზრდას.

მოსახლეობის მხრიდან სტაბილური მოთხოვნა ძირითადად მცირე ფართის ბინებზეა. შეიძლება ითქვას, რომ მცირე ზომის ბინების გაყიდვები ბოლო პერიოდში გაიზარდა კიდეც.

პატარა ბინის გაქირავების სიმარტივესა და შემდგომი დანახარჯების სიმცირეს, სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები, მცირე ფართის ბინებზე დიდი მოთხოვნის მიზეზებად ასახელებენ.

– პატარა ფართები – დაახლოებით 40-დან 60 კვ მეტრამდე, ჩვენი მომხმარებლის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს. ოროთახიანი, ე.წ. სტუდიოს ტიპის ბინები სწრაფი ტემპით იყიდება, რადგან ასეთი ბინები როგორც გასაქირავებლად, ისე ახალგაზრდა ოჯახის საცხოვრებლად მისაღებია. აქედან გამომდინარე, მოთხოვნა ამ ბინებზე ძალიან დიდია, – აღნიშნავს „სალვუს დეველოპმენტის“ კომერციული დირექტორი თამარ გაფრინდაშვილი.

მისი თქმით, დიდი ბინები კონკრეტული საჭიროებისთვის და მრავალსულიანი ოჯახებისთვისაა უფრო ხელსაყრელია. მცირე ფართის ბინებში საწყისი ინვესტიციისთვის გაცილებით ნაკლები თანხის ჩადებაა საჭირო, რაც ხშირ შემთხვევაში მომხმარებლების არჩევანსაც განაპირობებს.

სამშენებლო კომპანია „ნიუ დილომის“ პროექტების მენეჯერი გიორგი ჩვარაძეც აცხადებს, რომ პატარა ზომის ბინები გაყიდვების გამოცხადებისთანავე, ძალიან სწრაფად იყიდება და ბაზარზე ამ კუთხით მოთხოვნა გაცილებით დიდია. მისი თქმით, მომხმარებლები ნაკლები ფართის ბინებს უპირატესობას დაბალი ფასის გამო ანიჭებენ. შესაბამისად, სამშენებლო კომპანიებიც გათვლას ამ კუთხით აკეთებენ.

– ბაზრის კვლევამ აჩვენა, რომ 80 კვადრატულ და უფრო დიდი ფართის ბინებზე მოთხოვნა ძალიან შემცირებულია. როდესაც პროექტი ბიუჯეტურია, რა თქმა უნდა, ბინებიც ბიუჯეტურად უნდა გათვალო. როცა მშენებლობას ვიწყებდით, აქცენტი ჩვენც 50-60 კვადრატული ფართის ბინებზე გავაკეთეთ, რადგან ამ სეგმენტის ბინების გაყიდვები ძალიან მაღალია.



ჩვენს ახალ აშენებულ კორპუსშიც 60%-ზე მეტს მცირე ფართის ბინები შეადგენს, რომელთა ღირებულებაც 30 ათასი დოლარის ფარგლებშია და მომხმარებლებს მისი შეძენა ნაკლებად უჭირთ. მისაღები ფასი და სარემონტო ხარჯებისთვის საჭირო ნაკლები დანახარჯები ამ კატეგორიის ბინებზე მოთხოვნას განაპირობებს. სწორედ ამიტომ, საწყის ეტაპზევე, უფრო სწრაფად იყიდება, – აცხადებს გიორგი ჩვარაძე.

უძრავი ქონების განცხადებების საიტი საქმე.გე, რომლის ვებგვერდზეც ყოველდღიურად უამრავი ახალი განცხადება იდება, ბინებზე არსებული მოთხოვნის მსგავს ტენდენციებს ასახავს.

საიტზე განთავსებული ინფორმაციის მიხედვით, გარეუბნებში გასაყიდი ბინების 34% და ცენტრალურ უბნებში სარეალიზაციო ფართების 32% სწორედ პატარა ზომის, ერთ და ოროთახიან ბინებზე მოდის.

ყველაზე მცირე რაოდენობით კი 4, ან უფრო მეტი ოთახის მქონე ბინები იყიდება. პროცენტული მაჩვენებლებით, მათი რაოდენობა გლდანში, თემქასა და ვარკეთილში 14%, ხოლო ვაკესა და საბურთალოზე 19%-ზე ნაკლებია.

**ქრისტინე გამთენაძე, ბიპიენი**

# ნოდარ ნათაძე: „პრორუსული რევანში არ გამოვა“

## „რუსეთმა საქართველოში თავისი აგენტურა სრული შემადგენლობით აამოქმედა“

მარიამ მჭედლიშვილი

**სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აღნიშნავს, რომ ყველაფერი კეთდება მომავალ პარლამენტში ახლანდელი კონფიგურაციის შესანარჩუნებლად.**

**ნოდარ ნათაძე:**

– ნაციონალური მოძრაობაც და „ქართული ოცნებაც“ რუსულ საქმეს აკეთებენ. რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, რომ მომავალი პარლამენტიც თავისი ძალებით დააკომპლექტოს. ამიტომ, მთელი ძალისხმევა მიმართულია იქით, რომ შემდეგი საკანონმდებლო ორგანოც ნაცქოცური იყოს. ამ ორ ძალას შორის სხვაობა იმაშია, რომ ნაციონალებს ხალხის სისხლში აქვთ ხელი გასვრილი, „ოცნებას“ სისხლიანი დანაშაულები არ ჩაუდენია.

***– ბოლოდროინდელი სოციოლოგიური კვლევებით, ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი გაუტოლდა „ქართული ოცნების“ რეიტინგს. ამ მხრივ ენდიაისა და აირაის მონაცემები ერთმანეთს ჰგავს..***

– ენდიაის თბილისის ოფისის წინა წლების საქმიანობას თუ გავიხსენებთ, დავრწმუნდებით, რომ მისი ციფრების ნდობა შეუძლებელია. ვინც მსგავს მონაცემებს აქვეყნებს, არც ისაა სანდო. ჩემს ხელთ არსებული სარწმუნო ინფორმაციით, 2012 წელს ნაციონალურ მოძრაობას 12% ჰქონდა, მაგრამ 40% გაუფორმეს. ახლაც წამატებულია ნაციონალური მოძრაობის რეიტინგები. რუსეთს მარტო ამ ორი ძალის მოსვლა კი არ უნდა, ის სხვანაირადაც არის გააქტიურებული.

***– რა გაქვთ მხედველობაში?***

– რუსეთმა აამოქმედა თავისი აგენტურა. თანაც, სრული შემადგენლობით. შევარდნაძის მმართველობის მიწურულს გააქტიურებული იყო რუსეთის აგენტურის 40%, ახლა ეს ციფრი თითქმის 100%-ს უტოლდება.

***– სად ჩანს ეს?***

– სულ ახლახან გერმანულ მედიას ინტერვიუ მისცა ნინო ბურჯანაძემ. მისმა გამონათქვამებმა 2008 წლის ომის შესახებ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ბურჯანაძის გამოსვლა ნამდვილი ღალატია. ეს ინტერვიუ აისახება ფილმში, რომელსაც ახლა იღებენ.

***– ადრე ამბობდით, ღალატი 2008 წელს სააკაშვილმა ჩაიდინაო.***

– სააკაშვილმაც ჩაიდინა ღალატი. ეს არ ნიშნავს, რომ ბურჯანაძეს იმის უფლება აქვს, რომ ომის დაწყებაში საქართველო დაადანაშაულოს. მაშინდელი მოვლენების წინ რუსეთმა ორი კვირით ადრე დაიკავა ტერიტორიები, ფაქტობრივად დაამთავრა ყველაფერი და მერე დაავალა სააკაშვილს, ცხინვალისკენ ჭურვი გაესროლა. სააკაშვილს რომ საქართველოს ინტერესების დაცვა სდომებოდა, ადგილობრივი ტელეგამოსვლებით არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. მას მსოფლიოსთვის დროზე უნდა მიემართა. სააკაშვილმა იმოქმედა ისე, როგორც რუსეთს უნდოდა.

***– კიდევ სადმე იკვეთება რუსეთის აგენტურის გააქტიურება?***

– ეს ჩანს კიდევ ლევან ვასაძის აქტიურობით. საერთოდ, რუსეთს უნდა, რომ მომავალი პარლამენტი მას მოემსახუროს. რუსეთის მიზანია, საბოლოოდ დაეპატრონოს საქართველოს რომელიმე ტერიტორიას. ამის შედეგად ის ხდება ამიერკავკასიის სრულუფლებიანი სახელმწიფო, რომელიც დაბლოკავს დასავლეთს.

რუსეთისთვის სულ ერთია, როგორ გადანაწილდება პროცენტები და 60%-ს „ქართული ოცნება“ მიიღებს თუ ნაცმოძრაობა. მთავარია, ჯამში იყოს ყოვლისშემძლე უმრავლესობა. რუსეთის გააქტიურება გარკვეულ განწყობებშიც ჩანს. მაგალითად, პოლიტიკაში ჩართული ადამიანები, რომლებიც ადრე რუსეთს მძაფრად აკრიტიკებდნენ, ახლა რუსეთსა და აშშ-ს ერთად აყენებენ, ანუ ორივეს ერთნაირად უპირისპირდებიან.

***– ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ მსგავს ძალებად მიგაჩნიათ. იმას როგორ ხსნით, რომ ნაციონალებს სერიოზული ლობისტები ჰყავთ დასავლეთში?***

„რას ავალებს რუსეთი ნაცმოძრაობას, ეს გასაგებია, მაგრამ ჯერ ბუნდოვანია, რისი მიღწევა უნდათ ნაციონალების მეშვეობით მათ ლობისტებს დანარჩენ მსოფლიოში"



– რას ავალებს ნაცმოძრაობას რუსეთი, ეს გასაგებია. რისი მიღწევა უნდათ ლობისტებს დანარჩენ მსოფლიოში ნაციონალური მოძრაობის მეშვეობით, ეს ჯერჯერობით ბუნდოვანია.

***– როგორ გგონიათ, რუსეთი სამხედრო თვალსაზრისითაც გააქტიურდება, თუნდაც, საქართველოდან მოშორებით?***

– არა მგონია, რუსეთი სამოქმედოდ ემზადებოდეს. ის ტრაბახით და წვრთნებით შემოიფარგლება. თუ რუსეთი რაიმეს წამოიწყებს და ამაზე იქნება დასავლეთის სათანადო რეაქცია, რუსეთის გენერლები პუტინს არ აცოცხლებენ. თუ საერთოდ გაჩერდება, მას ვანკა დაახრჩობს. ამიტომ, პუტინი იძულებულია, სულ სხვების დაშინებაში, ბაქიაობასა და პროპაგანდაში იყოს. სერიოზულ ბრძოლას ის ვერ დაიწყებს.

***– საქართველოში რას მიაღწევს?***

– საქართველოში რუსეთს პრორუსული რევანში არ გამოუვა. აგენტების გააქტიურებით სასურველ მასშტაბებს ვერ მიაღწევს.

***– პარლამენტში მოხვედრის შანსი სხვა ძალებსაც ხომ აქვთ?***

– აქტიურ ასპარეზზე მყოფი სხვა ძალები არაფერს წარმოადგენენ. პარლამენტში უნდა მოხვდნენ პატრიოტული დემოკრატიული პროდასავლური ძალები. ჩვენ, ეროვნული ძალების ალიანსი, პროგრამის გარშემო გავერთიანდებით. პროგრამის პირველ ნაწილს საგარეო პოლიტიკის შესახებ ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ. სერიოზული ხედვები გვაქვს მიწის საკითხზე, კონფლიქტების მოგვარებაზე. ეს ის თემებია, რომლებიც აწუხებს ნებისმიერ ნორმალურ მოქალაქეს.

# „საქართველო – ქვეყანა, სადაც საზღვარი მოძრაობს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

„ისინი ძალას იკრებენ“, – ამბობს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც მინის გუმბათიან, რაიხსტაგის მსგავს დიდებულ სასახლეში ზის. ზოგიერთი დიპლომატის თქმით, თუ მართლაც ასე მოხდება, ეს კოშმარული სიზმარივით იქნება.

საქართველოს არასტაბილურობის ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზი თბილისიდან ერთი საათის სავალზე მდებარეობს: ქალაქ გორთან ახლოს, სადაც იოსებ სტალინი დაიბადა, სამხრეთ ოსეთის ზონა იწყება, სადაც ქართველებს შესვლა აკრძალული აქვთ. კიდევ ერთ კონფლიქტურ რეგიონს აფხაზეთი წარმოადგენს. ამრიგად, ორივე კონფლიქტი რუსეთის მიერაა გაყინული და ისინი საქართველოს კონტროლს არ ექვემდებარებიან. როგორც ქართველები ამბობენ, რუსეთს მათი ქვეყნის ტერიტორიის 20% აქვს ოკუპირებული. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოს ავტონომიები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებლად, პრინციპში, მხოლოდ რუსეთმა აღიარა და იქ რუსეთის ჯარებია დისლოცირებული. თავდაცვის მინისტრის თინა ხიდაშელის თქმით, რუსეთი საქართველოს ტერიტორიის „მცოცავ ანექსიას“ ეწევა. სწორედ აქ, კავკასიის ქედის სამხრეთ კალთებზე, ის საზღვარი, რომელიც რეალური არ არის, მაგრამ მაინც არ უნდა დაირღვეს. რუსების აზრით, ეს სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვარია, ქართველების პოზიციის თანახმად კი, აქ საოკუპაციო ხაზი გადის. ევროკავშირმა კონფლიქტის ზონაში დამკვირვებელთა უიარაღო მისია გამოაგზავნა, რომელიც ძირითადად მხოლოდ მავთულხლართებით გამიჯვნის ფაქტებს აფიქსირებს. მავთულხლართები ხშირად სოფლებს ორ ნაწილად ყოფს, დადგმულია „საზღვრის“ აღმნიშვნელი ბანერები.

ჯარიაშენთან ახლოს საზღვრის მსგავსს ვერაფერს შეამჩნევთ: მწვანე მინდორი, ხეხილის ბაღები, ბუჩქებიანი ფერდობები. სწორედ ამ ბაღებზე გადის სასაზღვრო ხაზი, ხოლო ზემოთ, ბორცვიდან კი რუსეთის სათვალთვალო პუნქტი მოჩანს, რომელიც ადგილს აკონტროლებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ხაზი ნამდვილი საზღვარი არაა, ის მაინც მოქმედებს. შესაძლოა, რომ საზღვრების გადმოწევამ კონფლიქტი განაახლოს. „საზღვარი 2008 წლის შემდეგ წინ მოიწევს, რადგან რუსეთს ასე სურს“, – ამბობს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, – „რუსების მიზანია გვაჩვენოს: ჩვენ როგორც გვსურს, ისე იქნება, თქვენ კი ვერაფერს გააკეთებთო“. ევროპელი დამკვირვებლები ადასტურებენ, რომ საზღვრის წინ გადმოწევა მართლაც ხდება, იგივე სოფელ ჯარიაშენშიც, სადაც სამხრეთ ოსეთის მხრიდან მინდორზე, ბულდოზერების მიერ, გზა იქნა გაყვანილი (ავტორი ესაუბრება ჯარიაშენის მკვიდრთ ელიზბარ მესტუმრიშვილს და დავით გოკიაშვილს, რომლებიც საზღვრის გადმოწევის გამო წარმოქმნილ პრობლემებზე ლაპარაკობენ).

რუსეთისათვის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორივე საქართველოსთვის ბარიერებს წარმოადგენენ ნატოსა და ევროკავშირში მისაღებად. საკუთარი ტერიტორიის ვერგაკონტროლება, მოუგვარებელი კონფლიქტები – ეს მიზეზები საკმარისია, რომ საქართველო ალიანსის წევრებმა ნატოში არ მიიღონ. სწორედ ამიტომაც რუსეთი ცდილობს საქართველოს იმ რეგიონების უფრო მჭიდროდ ინტეგრირებას, რომლებიც მას ესაზღვრება. ალბათ, მოსკოვისთვის სასურველი იქნებოდა, რომ ისინი ევრაზიულ კავშირში ყოფილიყვნენ. სამხრეთი ოსეთის ე.წ. პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა სულ ახლახან განაცხადა, რომ იგი რუსეთთან მიერთების მიზნით სამხრეთ ოსეთში რეფერენდუმს ჩაატარებს. ანუ ეს ისაა, რაზედაც თინა ხიდაშელი ლაპარაკობს – მცოცავი ანექსია.

რადგანაც საქართველოს კონფლიქტების სამხედრო გზით მოგვარების ძალა არ შესწევს, თბილისი ცდილობს, რომ აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთისათვის რუსეთზე უფრო მომხიბვლელი იყოს და ამის პროპაგანდას ცდილობს. აფხაზებს და ოსებს რუსული პასპორტები აქვთ, მაგრამ მათ საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე შემოსვლა თავისუფლად შეუძლიათ. საქართველოს მთავრობა მათ მკურნალობის ხარჯებსაც უნაზღაურებს. ეს ძალიან მიმზიდველი ფაქტორია, რადგანაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჯანდაცვის სისტემა მოშლილია და ფაქტიურად, არ არსებობს.

„დიდი ხნის განმავლობაში ჩვენს ყველა უბედურებას მხოლოდ რუსეთს ვაბრალებდით“, – თქვა პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, რომელსაც მხედველობაში ჰყავს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. განდგომილი რეგიონების მოსახლეობას ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობოდა. „მოვა დრო და ერთ მშვენიერ დღეს საქართველოს ტერიტორიებს დავიბრუნებთ, შესაბამისად, იქ მცხოვრებ ჩვენს მოქალაქეებთან კარგი ურთიერთობა უნდა გვქონდეს“.

აფხაზებისა და ოსებისათვის საქართველო შეიძლება კიდევ უფრო მიმზიდველი გახდეს ვიზალიბერალიზების შემდეგ, რასაც ქართველები თვითონაც მოუთმენლად ელოდებიან: მათ ევროკავშირის შენგენის ზონაში უვიზოდ მოგზაურობის შესაძლებლობა ექნებათ. ბუნებრივია, ამ სიკეთით აფხაზებიც და ოსებიც ისარგებლებენ, თუ ისინი ქართულ პასპორტებს აიღებენ.

„ჩვენ ახლა რაღაც მნიშვნელოვანი შედეგი გვჭირდება, რომ ხალხმა თვალნათლივ დაინახოს, იგრძნოს, რომ პროდასავლური ორიენტაცია მისთვის სასარგებლოა, მაგალითად, ის, რომ მათ ევროპაში თავისუფლად მოძრაობა შეუძლიათ, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში პრორუსი პოლიტიკოსები ისარგებლებენ“, – ამბობს თინა ხიდაშელი.

პრორუსი პოლიტიკოსების არგუმენტი ასეთია: „ევროკავშირი და ნატო საქართველოს თავის რიგებში არ მიიღებენ. ეს ილუზიაა, დაივიწყეთ“. რუსული პროპაგანდა ქართველებს ჩასჩიჩინებს: „ევროპა თქვენს რელიგიურ აღმსარებლობას შეგიზღუდავთ; ევროპაში ბავშვებს ვერ მონათლავთ; ევროპაში მიღების კანდიდატმა ქვეყნებმა ერთსქესიანთა ქორწინება უნდა დააკანონონ“. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ქართველი საზოგადოება კონსერვატიულია, გასაკვირი არაა, რომ ზოგიერთები ევროპას სკეპტიკურად უყურებენ. ამიტომაც, ალბათ, კარგი იქნება, თუ ქართველები საკუთარი თვალით დაინახავენ ევროპელების ცხოვრებას.

რაც შეეხება საქართველოს პარლამენტში პრორუსული პოლიტიკოსების შესაძლო მოხვედრას, პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი გვამშვიდებს: „ეს იმის ნიშანი იქნება, რომ საქართველოში დემოკრატიული პროცესები მიდის“. ამ შემთხვევაში დაპირისპირება [ქუჩიდან] პარლამენტში გადაინაცვლებს. ეს შეიძლება სტაბილურობის ნიშნადაც ჩაითვალოს.

პ.ს. ავტორი საქართველოში იმყოფებოდა ჟურნალისტიკის ევროპული ცენტრის ეგიდითა და ევროპის კომისიის დაფინანსებით.

**ნიუსპრესი**

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

- ✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
- ✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- ✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- ✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
- ✓ აკუმულატორი;
- ✓ მოჰყვება დამტენი;
- ✓ დატენვის ინდიკატორი;
- ✓ ბაკების გასასწორებელი;
- ✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- ✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;



**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50дБ.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც
რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც.
ელემენტები LR41 –
ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.



**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად**
**95 ლარის ნაცვლად**



MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# მოლდოვაში ამერიკული სამხედრო ტექნიკა შევიდა



3 მაისს მოლდოვა-აშშ-ს სამხედრო სწავლებანი დაიწყო. ამერიკელი სამხედროები მოლდოვაში რუმინეთიდან შევიდნენ.

მათ რუმინეთ-მოლდოვის საზღვარი დილის 7 საათზე გადალახეს და გეზი ქვეყნის ცენტრალური ნაწილისაკენ აიღეს.

მოლდოვის პრორუსულმა ძალებმა საპროტესტო აქციების მოწყობა სცადეს. სოციალისტური პარტიის ლიდერმა დოდონმა ამერიკელების შემოსვლას ჩუმი ოკუპაცია უწოდა. მან მოსახლეობას ქუჩაში გამოვლისკენ მოუწოდა. ამას მხარი არავინ დაუჭირა. დოდონის მოწოდებას მხოლოდ 6 ადამიანი გამოეხმაურა.

ამერიკულმა სამხედრო ტექნიკამ ქვეყნის ცენტრალურ ნაწილამდე შეუფერხებლად მიაღწია.

სამხედრო სწავლება 4 მაისს დაიწყო და 20 მაისამდე გასტანს. 9 მაისს კიშინიოვში დაგეგმილია როგორც მოლდავური, ისე ამერიკული სამხედრო გამოფენის მოწყობა.

გამოფენას მოლდოვის დედაქალაქის ცენტრში მოაწყობენ. გამოფენილი იქნება 12 ერთეული მოლდავური და 24 ერთეული ამერიკული სამხედრო ტექნიკა.

ამას გარდა მოეწყობა საველე სამზარეულო. ყველა მსურველს საშუალება მიეცემა, გასინჯოს ის საკვები, რასაც როგორც მოლდაველი, ისე ამერიკელი სამხედროები მიირთმევენ. გამოფენას ამერიკელი ოფიცრებიც დაესწრებიან. ყველას, ვინც გამოფენაზე მივა, მათთან გასაუბრების საშუალება მიეცემა.

– რუსული პროპაგანდა ამერიკელი ჯარისკაცებისგან მტრის ხატს ქმნის. ჩვენ გვსურს, ჩვენს ხალხს ვაჩვენოთ, რომ ამერიკელები შესანიშნავი ბიჭები არიან, ბევრად უკეთესები, ვიდრე რუსები, – ამბობს მოლდოვის პრემიერი ფილიპი.

პრორუსული ძალები 9 მაისს ამერიკული სამხედრო ტექნიკის გამოფენას ძალზე აგრესიულად შეხვდნენ. ტელევიზიით გამოსვლისას დოდონმა ამას მკრეხელობა უწოდა. მისმა ოპონენტმა დემოკრატიული ბანაკიდან მიუგო:

– რატომ არის ეს მკრეხელობა? მეორე მსოფლიო ომში ამერიკელები ისევე იბრძოდნენ ფაშიზმის წინააღმდეგ, როგორც რუსები!

დოდონი წამოდგა და პროტესტის ნიშნად ეთერი დატოვა. წასვლის წინ კი დაიმუქრა, 9 მაისს გრანდიოზულ აქციებს მოვაწყობთო.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

## ნატო მოკავშირეების მიტოვებას არ აპირებს



შტუტგარტში აშშ-ს თავდაცვის მინისტრი ეშტონ კარტერი ჩავიდა. ჟურნალისტებთან საუბარში მან განაცხადა, რომ ნატო თავის ყველა მოკავშირეს დაიცავს.

– ჩვენ საამისოდ მზადა ვართ! რუსეთის აგრესიას საკადრისი პასუხი გაეცემა, – თქვა კარტერმა.

აშშ-ს თავდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ნატო რუსეთთან თანამშრომლობისთვის მზადაა, თუმცა საამისოდ კრემლმა აგრესიული პოლიტიკა უნდა შეწყვიტოს.

– ბოლო უნდა მოეღოს როგორც დონბასის ომს, ასევე ყირიმის ანექსიას, – თქვა კარტერმა.

## ტრამპმა კრუზი ჩამოიშორა

ინდიანას შტატში რესპუბლიკელთა პრაიმერიზის მორიგი რაუნდი ჩატარდა. დონალდ ტრამპმა დამაჯერებლად გაიმარჯვა და გამოიკვეთა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი რესპუბლიკელთა პარტიიდან.

ტრამპის კონკურენტმა ტედ კრუზმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ საპრეზიდენტო მარათონიდან გადის.

ტრამპმა ხმების 53% მიიღო, კრუზმა – 36%. ტრამპს სულ 200 ხმის მოპოვება დარჩა, რათა რესპუბლიკური პარტიიდან პრეზიდენტობის კანდიდატი გახდეს. მას შემდეგ, რაც ტედ კრუზი საარჩევნო მარათონს ჩამოშორდა, ტრამპს უკანასკნელი წინააღმდეგობა მოეხსნა.

– სავარაუდოდ, საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩვენი კანდიდატი დონალდ ტრამპი იქნება. რესპუბლიკელები მის გარშემო უნდა გავერთიანდეთ, რათა ჰილარი კლინტონი დავამარცხოთ, – განაცხადა რესპუბლიკელთა ლიდერმა გრუბუსმა.




თავად ტრამპი ჟურნალისტების წინაშე ტრიუმფატორის პოზაში წარდგა. მან დამარცხებული კონკურენტის მიმართ დიდსულოვანი ჟესტიც გააკეთა.

– ტედ კრუზი ღირსეული მოწინააღმდეგე იყო, – თქვა ტრამპმა.

## აზერბაიჯანელ ჟურნალისტს იუნესკოს პრემია მიანიჭეს



აზერბაიჯანელ ჟურნალისტ ხატიჯა ისმაილოვას იუნესკოს პრემია მიენიჭა.

დაჯილდოების ცერემონიალი ჰელსინკში შედგა. იმის გამო, რომ ისმაილოვა ამჟამად პატიმრობაში იმყოფება, პრემია, 25.000 დოლარი, დედამისს გადაეცა.

ისმაილოვას დედამ თავისი ქალიშვილის მიმართვა წაიკითხა. მასში ნათქვამია, რომ ისმაილოვა ცხოვრების აზრს სიმართლისთვის ბრძოლაში ხედავს.

ხატიჯა ისმალიოვამ სახელი ჟურნალისტურ გამოძიებებით გაითქვა, როცა აზერბაიჯანის ხელისუფლების რიგი მაღალჩინოსანი კორუფციაში ამხილა. ამის გამო 2014 წელს ის დააპატიმრეს. 2015 წელს ბაქოს სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

რიგმა გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ ისმაილოვას პროცესი პოლიტიკურად მოტივირებულად ცნო და ჟურნალისტის გათავისუფლება მოითხოვა.

## ოდესა: თავდასხმა ტელეჟურნალისტებზე

ოდესაში უცნობი პირები მე-7 არხის ტელეჟურნალისტებს დაესხნენ თავს. ერთი ჟურნალისტი ცეცხლსასროლი იარაღითაა დაჭრილი, ოპერატორი კი საავადმყოფოში მოათავსეს.

– ტელეჟურნალისტები ავტოგასამართი სადგურის შესახებ სიუჟეტს აკეთებდნენ.



კონფლიქტიც მაშინ მოხდა, – იტყობინება სააგენტო „უნიანი“.

მომხდარი ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. პოლიცია ახორციელებს ზომებს ბოროტმოქმედთა დასაკავებლად.

## ჰოლანდიური ბოინგი რუსებმა ჩამოაგდეს

სარაკეტო დანადგარი ბუკი, რომლითაც ორი წლის წინ დონბასში ჰოლანდიური ბოინგი ჩამოაგდეს, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს ეკუთვნოდა.

ასეთ დასკვნამდე მივიდნენ საერთაშორისო ექსპერტები.

– ხსენებული „ბუკი“ რუსეთის 53-ე სარაკეტო-საზენიტო პოლკს ეკუთვნოდა, – იტყობინება „დოიჩე ველე“.

ამრიგად, ფაქტობრივად, ოფიციალურ დონეზე დამტკიცდა, რომ ჰოლანდიური ბოინგი რუსების მიერაა ჩამოგდებული. მოსკოველი პოლიტიკოსების შეკვეთით გადაღებული ფსევდო-დოკუმენტური ფილმებით გავრცელებული ინფორმაცია, აქაოდა ბოინგი უკრაინელებმა ჩამოაგდესო, გაცამტვერდა.



## განცხადებები

### იყიდება

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში, (თბილისიდან ნახევარი საათის სავალზე) 2000კვ.მ. და 1400კვ.მ საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, ორივე ნაკვეთი არის შემოსაზღვრული და ახლოს არის კომუნიკაციები. 1400 კვ.მ-ში ჩაყრილია საძირკველი ზომით 9X10-ზე, სოფელში არის წყალი, სინათლე, გაზი. ფასი 1კვ.მ. 3,5$; 2000 კვ.მ. ფასი 3$ტელ: 593-25-54-21; ან 593 50-16-08.

### მკურნალობა

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## ესპანეთში პუტინის ფავორიტების დაპატიმრების ორდერები გასცეს



ესპანეთის სასამართლომ პუტინის ფავორიტების დაპატიმრების ორდერები გასცა.

სიაში მოხვდნენ ისეთი გავლენიანი რუსი ჩინოვნიკები, როგორებიც არიან რუსეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი სერდიუკოვი, საგამომძიებლო კომიტეტის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე სობოლევსკი და ა.შ.

ყველა მათგანს ბრალად ედება მაფიასთან კავშირი და ფულის გათეთრება.

## ბელარუსის სახალხო ფრონტი „ღამის მგლების“ აკრძალვას მოითხოვს

რუსული ბაიკერ-კლუბი „ღამის მგლები“ ფაშიზმზე გამარჯვების აღსანიშნავად გადარბენას აწყობს. რუსი ბაიკერები ბელარუსის გავლით გადავიდნენ ევროპაში და თავიანთი მარათონის დამთავრებას ბერლინში გეგმავენ.

ბელარუსში შესვლისთანავე რუსი ბაიკერების ლიდერმა ზალდასტანოვმა განაცხადა, რომ ბელარუსი რუსეთია.

ბელარუსის სახალხო ფრონტის ლიდერმა იანუკევიჩმა პროკურატურაში სარჩელი შეიტანა და „ღამის მგლების“ აკრძალვა მოითხოვა.

– ესაა ექსტრემისტული ორგანიზაცია, რომელსაც ბელარუსის წინააღმდეგ საინფორმაციო ომში იყენებენ, – ამბობს იანუკევიჩი.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.
მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# უეფამ კოსოვო აღიარა

## საქართველომ ამ გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა




უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში უეფას რიგით მე-40 კონგრესი გაიმართა, სადაც ორგანიზაციის ახალი, 55-ე წევრი აირჩიეს. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ახალ წევრად კოსოვოს ფეხბურთის ფედერაცია მიიღეს.

რატომ გასაკვირი? თუნდაც იმიტომ, რომ კოსოვო გაეროს მიერ არ არის აღიარებული და დღესაც სერბეთის შემადგენლობაში ითვლება.

კოსოვოს უეფაში მიღებას მხარი 28 ქვეყანამ დაუჭირა, 24 კი წინააღმდეგი წავიდა. 2-მა თავი შეიკავა. წინააღმდეგი ის ქვეყნები წავიდნენ, რომლებიც კოსოვოს დამოუკიდებლობას არ ცნობენ. ცხადია, პირველ რიგში სერბეთი. უეფას გენერალური მდივნის მოვალეობის დროებითმა შემსრულებელმა თეოდორიდისმა კი სერბულ ტელეარხთან ამ ქვეყნის მოქალაქეებს მიმართა, რომ უეფა სერბეთს და კოსოვოს ერთ შესარჩევ ჯგუფში არ მოახვედრებს.

ცხადია, 24 წევრს შორის იყო საქართველოც.

ლევან კობიაშვილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი:

– 24 ქვეყანა აღმოჩნდა, რომლებმაც მხარი არ დავუჭირეთ კოსოვოს უეფაში გაწევრიანებას. თუმცა მეორე მხარეს აღმოჩნდა უმრავლესობა. ჩვენთვის სამწუხაროა, მაგრამ კოსოვო მიიღეს უეფაში.

ყველაზე აქტიური წინააღმდეგი ამ გადაწყვეტილების მიღებაში სერბეთი იყო, რომლის საფეხბურთო ორგანიზაციის პრეზიდენტმა ტომისლავ კარაჯიჩმა აღნიშნა, რომ კოსოვოს მიღება დაუშვებელი იყო და მის კომენტარში მუქარის ტონიც გაისმა.

**ტომისლავ კარაჯიჩი:**

– ჩვენ არ ვართ იმის წინააღმდეგი, რომ ფეხბურთი მთელ ევროპაში ითამაშონ. მაგრამ წინააღმდეგი ვართ, იმ ორგანიზაციის გაწევრიანებას დავეთანხმოთ, რომელიც უეფას მოთხოვნებს არ იცავს. ამ გადაწყვეტილების მიღება ღიად ნიშნავს, რომ პოლიტიკა ფეხბურთში ერევა. კოსოვო გაეროს წევრი არ არის. უეფას წესდების მე-5 პუნქტში კი წერია, რომ ორგანიზაციის წევრებად მხოლოდ გაეროს მიერ დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარებული ქვეყნების ფედერაციების მიღება შეიძლება.

დღევანდელმა გადაწყვეტილებამ უეფას სახელს უდიდესი ზიანი მიაყენა, მაგრამ ჩვენ ამ თავხედური ნაბიჯის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმი უკვე შემუშავებული გვაქვს. სერბი ხალხი ამას არ მოითმენს.

სერბეთის ფეხბურთის ფედერაცია აპირებს, უეფას სასამართლოში უჩივლოს.

# დემბელეს 10 მატჩიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება



ჩელსი-ტოტენჰემის დაპირისპირება ბევრს იმით დაამახსოვრდა, რომ ამ მატჩის შემდეგ ლესტერი ოფიციალურად გახდა ინგლისის ჩემპიონი. ინგლისის საფეხბურთო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის ყურადღება კი სხვა ეპიზოდმა მიიპყრო.

საქმე ისაა, რომ როდესაც პირველი ნახევარი დასრულდა, ტოტენჰემის ფეხბურთელმა მუსა დემბელემ და დიეგო კოსტამ წაიკამათეს, რასაც დემბელეს მიერ გაკეთებული ჟესტი მოჰყვა, რომელშიც ის კოსტას თვალების ამოთხრით ემუქრება.

ინგლისში მსგავსი გამოხდომები მკაცრად ისჯება, ამიტომ დემბელეს შესაძლოა 10 მატჩის გამოტოვება მოუხდეს.

ამ საქმესთან დაკავშირებით სადისციპლინო კომიტეტი გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

# ატლეტიკო ფინალშია და მეტოქეს ელოდება



**ბაიერნი – ატლეტიკო 2:1**

1:0 ალონსო (31), 1:1 გრიზმანი (54), 2:1 ლევანდოვსკი (74)

34-ე წუთზე მიულერმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

84-ე წუთზე ტორესმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, მარტინესი, ბოატენგი, ალაბა, ალონსო, ვიდალი, დუგლას კოშტა (კომანი 73), მიულერი, რიბერი, ლევანდოვსკი

**ატლეტიკო:** ობლაკი, ხუანფრანი, გოდინი, ხიმენესი, ფილიპე ლუისი, ნიგესი, გაბი, ფერნანდესი (ფერეირა-კარასკო 46), კოკე (სავიჩი 90), გრიზმანი (პარტეი 82), ტორესი

ბოლო 3 წელია მიუნხენური გრანდისთვის ესპანური გუნდები გადაულახავ ბარიერად იქცნენ. რეალი, ბარსელონა და ახლა უკვე ატლეტიკო – ამ გუნდებმა ბაიერნი ჩემპიონთა ლიგის ფინალს არ გააკარეს...

ბაიერნი წელს უფრო ახლოს იყო ფინალთან, მაგრამ „ზოლიანებმა" სტუმრად გატანილი გოლის წყალობით აჯობეს მეტოქეს. „ალიანს არენაზე" გამართული მატჩი კი ძალიან შთამბეჭდავი გამოდგა სიუჟეტითა და დრამატიზმით.

როგორც მოსალოდნელი იყო, ატლეტიკომ დიდი ნაწილი საკუთარ ნახევარზე გაატარა, მაგრამ თავს მშვიდად და ორგანიზებულად იცავდა. ჰქონდათ ხარვეზებიც, მაგრამ თავად უფრო რაციონალურად გამოიყენეს პეპ გვარდიოლას შეგირდების შეცდომა და ამის წყალობით გავიდნენ ფინალში.

ანგარიში ხაბი ალონსომ გახსნა – გერმანელთა ესპანელს იღბალიც წაეხმარა, როდესაც საჯარიმო დარტყმიდან ბურთი რიკოშეტით გავიდა იან ობლაკის კარში.

3 წუთში გერმანელებს მეორე გოლის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ტომას მიულერს ობლაკმა აჯობა და პენალტი არ გაატანინა.

ამ მომენტმა ძალიან იმოქმედა მატჩის შემდეგ მსვლელობაზე და ეს ნათელი გახდა, როდესაც ანტუან გრიზმანი ფერნანდო ტორესის კარგი პასის შემდეგ პირისპირ დარჩა მანუელ ნოიერთან და აუღელვებლად გაუტანა.

ბავარიელებს უკვე 2 გოლის გატანა სჭირდებოდათ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ მოახერხეს, როდესაც რობერტ ლევანდოვკის არტურო ვიდალის პასი შეირგო. ბავარიელებმა მესამეს გასატანადაც გაიწიეს, მაგრამ პირიქით, გადაურჩნენ გოლს, როდესაც ტორესმა პენალტი გააცუდა. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ წესების დარღვევა საჯარიმოს გარეთ მოხდა და ატლეტიკო პენალტს არ იმსახურებდა.

ტორესის გაცუდებული პენალტის შემდეგ ბაიერნი 10 წუთი ამაოდ ცდილობდა სასურველი ანგარიშის დაფიქსირებას – ფინალში ატლეტიკო გავიდა, სადაც რეალი-სიტის წყვილს შორის გამარჯვებულს ელოდება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – იან ობლაკი

სლოვენიელი მეკარე ნამდვილად მატჩის გმირი გახდა. რამდენიმე რთული ბურთის მოგერიების გარდა, ობლაკმა პენალტიც აიღო. არავინ იცის, მიულერს 11 მეტრიდან რომ გაეტანა, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. სწორედ ობლაკის ამ სეივმა დაუბრუნა ატლეტიკოს „სიცოცხლისუნარიანობა" და დამსახურებულადაც გავიდნენ ფინალში.

**დიეგო სიმეონე:**

– ყველაზე ძლიერ მეტოქესთან ვითამაშეთ, რომელსაც კარიერის მანძილზე შევხვედრივარ. განსაკუთრებით ეს პირველ ტაიმს ეხება. ჩემი გუნდი საუცხოოდ თამაშობდა. ჩვენ წნეხს გაუძელით და გავიტანეთ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალიან ძნელი იყო – წარმოუდგენელი რამ შევძელით. უკვე ევროპის სამი წამყვანი კლუბიდან ორი დავამარცხეთ. ჩემი ფეხბურთელებით ვამაყობ. ვცდილობდით, საკუთარი ძლიერი მხარეები გამოგვეყენებინა და ის ფეხბურთი გვეჩვენებინა, რომლის შესაძლებლობასაც არსებული შემადგენლობა გვაძლევს. ახლა ფინალის მოგების შანსი გვაქვს, რომლისთვის რაც შეიძლება კარგად მოვემზადებით.

**ხოსეპ გვარდიოლა:**

– ატლეტიკოს ვულოცავ. კარგი მატჩი იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ თამაშით მთელ ევროპაში დატკბნენ. რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ. ჩემი შეგირდებით ვამაყობ. ამ გუნდს საუცხოო მომავალი ელოდება. ჩვენ გერმანიის ჩემპიონები ჯერ კიდევ არ ვართ და ერთი ქულა გვჭირდება. იმედია, მას შაბათს მოვიპოვებთ. მე, ფეხბურთელები და გულშემატკივრები იმედგაცრუებული ვართ, მაგრამ ჩემს ბიჭებს მაინც შეუძლიათ იამაყონ იმით რაც ამ სეზონში გააკეთეს. ფეხბურთელების გამო აქ მუშაობა მომწონდა. ახალი მწვრთნელი ბედნიერი უნდა იყოს, რომე მათთან იმუშავებს. რა თქმა უნდა, ბაიერნთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგება მსურდა და ამისთვის ყველაფერი გავაკეთე. ამ გუნდს მთელ ჩემს ცხოვრებას ვაძლევდი. მადრიდში მეორე ტაიმში და მიუნხენში მთელი მატჩის განმავლობაში კარგად ვთამაშობდით. ჩვენ, უბრალოდ, საუცხოოდ ვითამაშეთ იუვენტუსთან, ბენფიკასთან და ატლეტიკოსთან. მიუნხენში გატარებული დროით ძალიან კმაყოფილი ვარ. დიდი სიამოვნება მივიღე. ტიტულები უბრალოდ სტატისტიკაა.

# ბაიერნი რაფაელ ვარანით დაინტერესდა



მიუნხენის ბაიერნი წლევანდელ ზაფხულს სერიოზულად გეგმავს გაძლიერებას. როგორც მოგეხსენებათ, მომავალი სეზონიდან მიუნხენელებს იტალიელი სპეციალისტი კარლო ანჩელოტი უხელმძღვანელებს, რომელსაც დიდი სურვილი აქვს, რეალის ფრანგი მცველი რაფაელ ვარანი თავისი გუნდის რიგებში იხილოს.

ბაიერნი მზად არის, ამ ტრანსფერის გამო 40 მილიონ ევროს შეელიოს, თუმცა რეალი ვარანის გაშვებას არ აპირებს.

ანჩელოტიმ ვარანთან ერთად რამდენიმე წელიწადი იმუშავა მადრიდის რეალში და ის ფრანგი მცველის შესაძლებლობებს ყოველთვის მაღლა აყენებდა.

# მანჩესტერ სიტი ბილბაოს მცველს ყიდულობს



მანჩესტერ სიტიმ თითქმის მიაღწია შეთანხმებას ბილბაოს ატლეტიკის ფეხბურთელ ემერიკ ლაპორტთან, რომელიც ლა ლიგაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მცველად ითვლება.

ლაპორტი 21 წლის არის და მას ატლეტიკი საკმაოდ ძვირად აფასებს, თუმცა მანჩესტერ სიტი მზად არის, ატლეტიკს 39 მილიონი ევრო გადაუხადოს, რაზეც ბასკები უარს ვერ იტყვიან.

ლაპორტი ბილბაოს აკადემიის აღზრდილია და ადრეული ასაკიდან პირველი გუნდის წევრია. წლევანდელ სეზონში მან გუნდის თითქმის ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

# ლივერპული გმირობის გამეორებას ეცდება, სევილია და შახტარი – ანგარიშის შეცვლას



დღეს გაიმართება ევროპის ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები.

**ლივერპული – ვილიარეალი**

**1.73 3.5 5.0**

(პირველი მატჩი 0:1)

ვილიარეალს საპასუხო მატჩის წინ მცირე უპირატესობა აქვს და ეს საშინაო შეხვედრაში ადრიან ლოპესის გვიანი გოლით მოახერხეს. თუმცა, ლივერპულმა წინა სტადიაზე უკვე მოახერხა საოცრების მოხდენა და ენფილდელი გულშემატკივარი ახლაც იგივეს ელის.

ეს ამ გუნდების ერთადერთი ურთიერთდაპირისპირება იყო.

ფინალში გასასვლელ მატჩში ლივერპულს დიდი დანაკლისი აქვს: ემრე ჯანი, დენი ინგსი, ჯორდან როსიტერი, ჯორდან ჰენდერსონი და დივოკ ორიჯი ტრავმების გამო ვერ ითამაშებენ. ამავე მიზეზით ვილიარეალი ლეო ბაპტისტაოს მოისაკლისებს.

**მსაჯები უნგრეთიდან არიან:** ვიქტორ კოშოი (მთავარი); გიორგი რინგი, ვონცელ ტოტი (ასისტენტები); ტომაშ ბოგნარი, ადამ ფორკოში (დამატებითი ასისტენტები); პეტერ ბერეტიანი (მეოთხე);

**სევილია – შახტარი 1.62 3.8 5.5**

(პირველი მატჩი 2:2)

3 მატჩი აქვთ ერთმანეთთან ჩატარებული ამ გუნდებს და ყველა მათგანი ძირითად დროში 2:2 დასრულდა. ასე იყო 2007 წელს, როდესაც ამავე ტურნირის მერვედფინალში სევილიასა და დონეცკში ერთნაირი ანგარიშით დასრულდა და შემდეგ ესპანელებმა დამატებით დროში იმარჯვეს. დონეცკში სევილიამ 94-ე წუთზე გაათანაბრა და ეს მისმა მეკარემ, ანდრეს პალოპმა მოახერხა.

ახლა 2:2 და ფინალის საგზური დევს სასწორზე.

სევილი ტრავმირებულ მიქაელ კრონ-დელისა და ხოსე ანტონიო რეიესს მოისაკლისებს, დონეცკელებს ამავე მიზეზით აზევედო დააკლდებათ, ხოლო ფრედი დისკვალიფიცირებულია.

**მატჩს ჰოლანდიელები განსჯიან:** ბიორნ კეიპერსი (მთავარი); სანდერ ვან რუკელი, ერვინ ზეინსტრა (ასისტენტები); პოლ ვან ბუ-

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების", ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე", სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

## გამოსწორებულმა ნარკოდილერმა სხეული მოისვირინგა

ავსტრალიის ქალაქ მელბურნის მცხოვრებმა მთელი სხეული სვირინგებით მოიხატა მას შემდეგ, რაც საბოლოოდ გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა დამნაშავეთა სამყაროსა და ნარკოტიკებთან.

ჯონ კენი სახლიდან ექვსი წლის ასაკში გაიქცა. მისი თქმით, ოჯახში მას სასტიკად ექცეოდნენ და სწორედ ამიტო-



მაც აღმოჩნდა ქუჩაში. 10 წლის ნარკოტიკებს შეეჩვია და მათი გაყიდვა დაიწყო. მალე სუტენიორი გახდა და, ამავე დროს, აკრძალულ ნივთიერებებსაც მოიხმარდა.

უცნობია, თუ როგორ მოახერხა მამაკაცმა ნარკოდამოკიდებულებისგან თავის დაღწევა.

პირველი სვირინგი მან 18 წლის ასაკში გაიკეთა, 60 წლისას კი კენის სვირინგებით აქვს მოხატული მთელი სხეული, მათ შორის ენა და ცხვირი.

– საკუთარ დანაშაულებს ვნანობ. ფსიქოლოგმა მითხრა, რომ საკუთარ თავს სვირინგებით ვსჯი, ჩემ მიერვე ჩადენილი დანაშაულების გამო. ეს მომწონს კიდეც, – განაცხადა მელბურნელმა ყოფილმა ნარკოდილერმა.

## 10 წლის წინ დაკარგული ძაღლი პატრონს დაუბრუნდა



ამერიკის ალაბამის შტატის მცხოვრებ ტრეისი დავს ქალაქ ბრიუტონის ვეტერინარული საავადმყოფოდან დაურეკეს და აცნობეს, რომ მისი 10 წლის წინ დაკარგული ძაღლი იპოვეს. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქალი დარწმუნებული იყო, რომ მისი საყვარელი ცხოველი, სახელად ჩარლი, დაიღუპა.

ვეტერინარული საავადმყოფოს თანამშრომლებმა მოახერხეს გაერკვიათ, რომ ნაპოვნი ძაღლი სწორედ ის დაკარგული ჩარლი იყო. ეს კი მათ იმ ჩიპის წყალობით მოახერხეს, რომელიც ცხოველს პრაქტიკულად დაბადებისთანავე ჩაუნერგეს. ძაღლს, რომელსაც მისი მშობლიური სახლიდან 400 კილომეტრში კალმენის ოლქში მიაგნეს და სადაც მან ბოლო 10 წელი გაატარა, არავინ იცნობდა. ის 2006 წელს დაიკარგა. მაშინ ის სულ ერთი წლის იყო.

ძაღლის დაბრუნების შემდეგ გახარებულმა პატრონმა აღნიშნა, რომ პირუტყვს ცხვირ-პირი გაუჭაღარავდა, ხოლო მკერდზე დიდი სიმსივნე განუვითარდა. ვეტერინარები მას უახლოეს დროში ამოკვეთენ, რის შემდეგაც ჩარლი საბოლოოდ დაბრუნდება სახლში. პირველად მარტოხელა ძაღლი ვოლონტერებმა შენიშნეს. ის ეკლესიის საფეხურებზე იწვა. სწორედ მათ მიიყვანეს ცხოველი ვეტერინარულ საავადმყოფოში.

## ნორვეგიის ზოოპარკში დამთვალიერებლების თვალწინ ზებრა ვეფხვებს შეაჭამეს



ნორვეგიის ქალაქ კრისტიანსანის ზოოპარკში თავმოჭრილი ზებრა შესაჭმელად მშიერ ვეფხვებს პირდაპირ დამთვალიერებლების თვალწინ მიუგდეს. ზოოპარკის თანამშრომლებმა ასეთი გადაწყვეტილება იმის გამო მიიღეს, რომ დაწესებულებაში ზებრების ნამატი ჰქონდათ.

აღსანიშნავია, რომ პარკის ადმინისტრაციის ამ ქმედებამ დამთვალიერებლებში ნეგატიური რეაქცია გამოიწვია, ვინაიდან მათი უმრავლესობა იქ ბავშვებთან ერთად იყო მისული.

მიუხედავად საზოგადოების აღშფოთებისა. ზოოპარკის ხელმძღვანელობამ საკუთარი გადაწყვეტილება სისასტიკედ არ ჩათვალა.

– მესმის ადამიანების რეაქციის, მაგრამ ვეფხვის ან ლომისთვის თავისი ნანადირევის შეჭმა სრულიად ნორმალური მოვლენაა, – განაცხადა ზოოპარკის ვეტერინარმა როლფარნე ულბერგმა. მისი თქმით, საკვებად განკუთვნილი ცხოველის სხეულის მტაცებლის მიერ თავადვე დანაწევრება მისი

## ქალმა ბიბლიოთეკას წიგნი 67 წლის შემდეგ დაუბრუნა




ახალ ზელანდიაში ქალმა ქალაქ ოკლენდის ბიბლიოთეკას დაუბრუნა წიგნი, რომელიც მან 1948 წელს გამოიტანა. ქალი სახლში ინახავდა წიგნს სათაურით „მაორის ქვეყნის მითები და ლეგენდები“, რომლის ავტორი ა.ბ. რიდია.

ქალის ვინაობა, რომელსაც ამდენი ხნის განმავლობაში ჰქონდა ბიბლიოთეკიდან წიგნი გატანილი, არ სახელდება. ბიბლიოთეკის თანამშრომლის ზოი კორნელიუსის თქმით, რომელმაც ჩაიბარა წიგნი, ამჟამინდელმა პენსიონერმა წიგნი ჯერ კიდევ ბავშვობაში გაიტანა და მთელი ამ ხნის განმავლობაში მის დაბრუნებას აპირებდა.

– მან განაცხადა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ის წიგნს დიდი სიამოვნებით კითხულობდა, – აღნიშნა კორნელიუსმა.

ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ ქალს წიგნის გატანის დავალიანება, 17 ათასი ამერიკული დოლარის ოდენობით, აპატია.

## ამერიკაში გონებით მართვადი დრონების შეჯიბრება ჩატარდა

აშშ-ში მსოფლიოში პირველი დრონების რბოლა გამართეს ფლორიდის უნივერსიტეტის სტუდენტებმა, რომლებიც გონებით იმართებიან. შეჯიბრების ამსახველი ვიდეოჩანაწერი იუთუბიში უნივერსიტეტის არხზე იქნა განთავსებული და მან რამდენიმე დღეში 40 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

სასწავლო დაწესებულებაში დარწმუნებული არიან, რომ ასეთი ღონისძიებები სტუდენტებს



უბიძგებს, კიდევ უფრო უკეთ შეისწავლონ ნეირონინტერფეისით აღჭურვილი კომპიუტერები.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, შეჯიბრების დროს სტუდენტები ნეიროკომპიუტერულ ინტერფეისს იყენებდნენ, რომელიც იმისთვისაა შექმნილი, რომ ინფორმაციის გაცვლა მოხდეს თავის ტვინსა და ელექტრონულ მოწყობილობას შორის.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

## მადლობა

**ბ.უ. ფუტკარაძე**
მადლობას უხდის
**გეგა ჩილაჩავას**
დაკარგული მობილური ტელეფონის დაბრუნებისათვის.

## განცხადება

2016 წლის 1 ივნისს, 13.00 საათზე ტარდება ს.ს. „თბილისის ცენტრალური ავტოვაგზლის“ აქციონერთა საერთო კრება. მისამართი: გულიას ქუჩა №1.

**დღის წესრიგი:**

**1. წლიური ბალანსის განხილვა;**

**2. თანამესაკუთრეებთან და არენდატორებთან ურთიერთობები;**

**3. სხვადასხვა.**

*სამეთვალყურეო საბჭო*

## ასტროპროგნოზი
### 5 მაისისთვის



**ვერძი** – სავარაუდოდ, ფინანსების დანაკარგია მოსალოდნელი. არავის ენდოთ, დიდია მოტყუების ალბათობა. **კურო** – თქვენი აქტიურობა და შრომისმოყვარეობა სათანადოდ დაფასდება. კარგი დღეა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. **ტყუპები** – ძალზე ჰარმონიული დღე გაქვთ. გეგმების განხორციელებაში ხელს ვერაფერი შეგიშლით, თუმცა ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის ენერგიის დახარჯვა მაინც მოგიწევთ. **კირჩხიბი** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა პერიოდულად შესაძლოა ვითარება დაიძაბოს. მოვლენებს ნუ დააჩქარებთ. გარშემომყოფებისადმი მოთმინება და ტაქტი გამოიჩინეთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა, განსაკუთრებით ქალებისთვის. კარიერაში წინსვლა გელით. რაც შეეხება მამაკაცებს, მათ ფინანსური ოპერაციების განხორციელებისგან თავი უნდა შეიკავონ. **ქალწული** – სანამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას მიიღებთ, კარგად დაფიქრდით. საქმიანი შეხვედრები და მივლინებები სხვა დროისათვის გადადეთ. **სასწორი** – მოულოდნელად ყველაფერი იცვლება. იოლად ნურავის მიენდობით, დიდია მოტყუების ალბათობა. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. ფინანსებს გაუფრთხილდით. დაპირებების გაცემისგან თავი შეიკავეთ. **ღრიანკალი** – დღეს გამორიცხული არ არის მცირეოდენი ოჯახური უსიამოვნებები, გართულებები პირად ცხოვრებაში. საყვარელ ადამიანთან კამათი თქვენ სასარგებლოდ არ დამთავრდება. **მშვილდოსანი** – ნაყოფიერი დღეა. შრომისუნარიანობა აგიმაღლდებათ. ახალი საქმის დასაწყებად შესაფერისი პერიოდია. **თხის რქა** – ერიდეთ პროვოკაციებს დღის პირველ ნახევარში. მამაკაცებისთვის კომპრომისზე წასვლა რეკომენდებული არ არის. კატეგორიულობა მიუღებელია. **მერწყული** – გეგმების განხორციელებაში ხელს არაფერი გიშლით. ფინანსურად გაძლიერდებით. სასიცოცხლო პოტენციალი მაღალ დონეზეა. **თევზები** – გეგმების რეალიზაციაში დაბრკოლება შეგხვდებათ. წარმატებას მხოლოდ ნათესავებისა და მეგობრების დახმარებით მიაღწევთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. მუსლიმანთა ერთ-ერთი მთავარიდღესასწაული; 2. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები უძველესი ქართული ტომი; 3. გემის, თვითმფრინავის ტარების სპეციალისტი; 4. გასუფთავებული ნატეხი შაქარი; 7. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 8. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი; 12. ელექტრონავიგაციური ხელსაწყო გემზე, რომელიც ავტომატურად აღნუსხავს გემის მიერ გავლილ გზას; 14. რაიმე სიდიდეების შეფარდების გამომსახველი გრაფიკული ნახაზი; 16. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 17. მონასტრის მსახური; 19. ჩეხური მოტოციკლეტი; 20. ადამიანის გარემომცველი ბიოველი.

**თარაზულად:** 5. ისტორიული სატუსაღო პარიზში; 6. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 9. აქვსენტი ცაგარელის პიესა; 10. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 11. კოლხეთის მითოლოგიური მეფე აიეტის ქალიშვილი; 13. პატარძლის მეჯვარე ქორწილში; 15. გია დანელიას კინოკომედია; 18. ჩქარტემპიანი მექსიკური ცეკვა; 21. ზამთრის კურორტი საქართველოში; 22. უაზრობა, შეუსაბამობა; 23. ნახშირის სახატავი ფანქარი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. იაპონია; 2. ნადირაძე; 3. პლანეტა; 5. იანიჩარი; 7. ვენეცია; 9. პარანომია; 13. „მარსალა“; 15. ოკეანე; 16. ჯულეპი; 18. მღილი.

**თარაზულად**: 4. მარკიორი; 6. კლაუზულა; 8. კოპენჰაგენი; 10. ესენცია; 11. როტა; 12. ლისიპე; 14. ბონდი; 17. ტოლჩა; 19. ბეილი; 20. რეაქტორი; 21. ალბა; 22. დეტექტივი; 23. აიათოლა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. კოდექსი; 2. ბელუჩი; 3. ცაგარელი; 4. ციხეგოჯი; 7. კომენტარი; 8. პრობაცია; 12. პრეფიქსი; 14. სილიკოზი; 16. კომიქსი; 17. კრამიტი; 19. ოქმი; 20. „მახა“.

**თარაზულად**: 5. კომუნიკე; 6. ამაშუკელი; 9. სქოლიო; 10. ჩინური; 11. კონგო; 13. გროგი; 15. აილამა; 18. „მონცა“; 21. კონსპექტი; 22. ქუთაისი; 23. ჰიპნოსი.

კალეიდოსკოპი

## 51 წლის სუპერმოდელმა ინსტაგრამისთვის სურათი ბიკინიში გადაიღო



ამერიკელმა 51 წლის სუპერმოდელმა პაულინა პორიზკოვამ ინსტაგრამში საკუთარი აკაუნტი გახსნა და ხელისმომწერებთან ურთიერთობა ბიკინიში გადაღებული ფოტოსურათით დაიწყო.

ფოტოსურათი მანეკენის ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში ყოფნის დროსაა გადაღებული. სოციალურ ქსელში პორიზკოვას გვერდის გამოჩენიდან 17 საათში მას 358 ხელისმომწერი გამოუჩნდა, ხოლო თავად ფოტოსურათმა 90 მოწონება მიიღო.

ჩეხური წარმოშობის ამერიკელი მოდელისა და მსახიობის პაულინა პორიზკოვას კარიერა 1980-იან წლებში პარიზში დაიწყო და ის პირველი მოდელი იყო აღმოსავლეთ ევროპიდან, რომლის ფოტოსურათი სპორტს ილუსტრეიდის გარეკანზე დაიბეჭდა. პაულინას სურათები იბეჭდებოდა ისეთ ცნობილ გამოცემებში, როგორებიცაა ფლეიბოი, ვოგი, ჰარპერს ბაზარი, ელე და სხვა. მას 14-ზე მეტ ფილმსა და სერიალში აქვს როლები შესრულებული.

## ჩინელი სკუტერისტი სატვირთო მანქანას გადაურჩა



სოციალურ ქსელებში გამოჩნდა ვიდეო, რომელზეც ასახულია ავარია, რომელშიც სატვირთო ავტომობილი და სკუტერი მონაწილეობენ. აღნიშნული ინციდენტი ჩინეთის ქალაქ ნანტუნში მოხდა.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ეჯახება, როგორც ჩანს მართვა დაკარგული წითელი ფერის დიდი სატვირთო ავტომობილი მის წინ მდგომ ლურჯი ფერის ავტომობილს და რის შემდეგაც დიდი სისწრაფით აგრძელებს სვლას, სანამ განათების ბოძს არ დაეჯახა. ამასთან მის გზაზე აღმოჩნდება სკუტერზე მჯდომი მამაკაცი. მისკენ მქროლავი მანქანების დანახვაზე, მამაკაცი თავისი სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოხტა და ბოლო მომენტში გვერდით გახტომა მოასწრო.

ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, სავარაუდოდ, ავარიის მიზეზი სველი გზა გახდა. ინციდენტის შედეგად ლურჯი მანქანის მძღოლი უმნიშვნელოდ დაშავდა, ხოლო ავტოავარიის დანარჩენი მონაწილენი არ დაშავებულან.

## მინსკში შემწვარი ქათმის სიყვარულმა ხალხი რიგში ჩააყენა




ბელორუსეთის დედაქალაქ მინსკის მცხოვრებლები ქალაქში გახსნილი სწრაფი კვების პირველი რესტორნის ტეხას ჩიკენის წინ მრავალსაათიან რიგში ჩადგნენ. ამ ინფორმაციას ადგილობრივი ტელეარხი „ბელსატი“ ავრცელებს.

რესტორანმა გადაწყვიტა, კლიენტები ერთი წლის მანძილზე ყოველკვირეული უფასო კერძის გამასპინძლებით მოეზიდა, რომლებიც ახალი დაწესებულების მუშაობის დაწყების პირველი 30 წუთის განმავლობაში რაიმეს შეიძენდნენ. ამის შედეგად მინსკელებმა რესტორნის კართან თავმოყრა დილის 6:30 საათიდან დაიწყეს, მის გახსნამდე ექვსი საათით ადრე.

ტეხას ჩიკენი სწრაფი მომსახურების რესტორნების ქსელია, რომლის ძირითად მენიუს ქათმის ხორცისგან დამზადებული კერძები წარმოადგენს. ხოლო მისი საფირმო კერძი ფრიტიურში შემწვარი ქათმის ნაჭრებია, რომლებიც ტრადიციული რეცეპტით მზადდება და რომელიც ფირმის საიდუმლოს წარმოადგენს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# საქართველო კანის კინოფესტივალზეა




საქართველო კანის 69-ე კინოფესტივალზე იქნება წარმოდგენილი. ეროვნული კინოცენტრი კანის კინობაზრობაზე საქართველოს პავილიონით წელს მეცხრედ წარდგება.

პავილიონში ინდუსტრიული კუთხით იმუშავებენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი ზურაბ მაღალაშვილი, ევრიმაჟში საქართველოს წარმომადგენელი თამარ ტატიშვილი, დისტრიბუციისა და ექსპორტის დეპარტამენტის უფროსი დავით ვაშაძე და პროექტების მენეჯერი ნინო შერვაშიძე.

კანის ფესტივალზე წელს საქართველო არაერთ პროგრამაში იქნება წარმოდგენილი. დიდი წარმატებაა, რომ ერთ-ერთ მნიშვნელოვან სექციაში მონაწილეობს დეა კულუმბეგაშვილის მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ლეთა“, რომლის მსოფლიო პრემიერაც სწორედ ფრანგულ რივიერაზე გაიმართება.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც კანის კინოფესტივალი ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის დეა კულუმბეგაშვილის ნამუშევრით ინტერესდება. ორი წლის წინ რეჟისორის სადებიუტო ფილმი „უხილავი სივრცეები“ მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

წლევანდელი ფესტივალი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგან ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ, პროგრამის „გადაიღე საქართველოში“ მსოფლიო კინოინდუსტრიისთვის წარდგენა სწორედ კანის კინოფესტივალზე 15 მაისს მოხდება. ნაღდი ფულის უკან დაბრუნების სისტემაზე პრეზენტაციას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე გახსნის.

პროგრამას „გადაიღე საქართველოში“ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეწარმეობის განვითარების სააგენტო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან და ეროვნულ კინოცენტრთან თანამშრომლობით ახორციელებს. პროგრამის მიზანია, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მიმზიდველ გადასაღებ ცენტრად იქცეს და მალე საერთაშორისო მასშტაბით დიდ კინომწარმოებლებს უმასპინძლოს.

## ჯოვანი ვეფხვაძე გარდაიცვალა



67 წლის ასაკში გულის შეტევით ცნობილი ქართველი მხატვარი ჯოვანი ვეფხვაძე გარდაიცვალა.

ინფორმაცია ფოტოხელოვანმა იური მეჩითოვმა გაავრცელა:

— ძალიან სამწუხარო ამბავია, გარდაიცვალა უნიჭიერესი და უკეთილშობილესი ადამიანი, მხატვარი ჯოვანი ვეფხვაძე.

მხატვარი ვეფხვაძეების მხატვართა ოთხი თაობის მესამე წარმომადგენელი იყო — ივანე ვეფხვაძე, ალექსი ვეფხვაძე, ჯოვანი ვეფხვაძე და ბრუნო ვეფხვაძე.

— ხელოვნების ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება ოჯახი, რომელიც როგორც საგვარეულო რელიქვიას, ისე გადასცემს თავის ნიჭს თაობიდან თაობას და მისი ყოველი ახალი წარმომადგენელი თავის განსაკუთრებულ და განსხვავებულ ადგილს იკავებს ხელოვნების სარბიელზე, არა როგორც ცნობილი გვარის მატარებელი, არამედ როგორც დამოუკიდებელი ხელოვანი. ასეთია ვეფხვაძეების ოჯახი, პაპა-ივანე, მამა-ალექსი, შვილი-ჯოვანი და შვილიშვილი ბრუნო, რომელმაც თამამი ნაბიჯებით შეაბიჯა მხატვრობის კარიბჭეში, — ასე აფასებს ხელოვნებათმცოდნე ნინო ზაალიშვილი ვეფხვაძეების დინასტიას.

მხატვრის შემოქმედებაში წარმოდგენილია სხვადასხვა ჟანრი, როგორიცაა პეიზაჟი, პორტრეტი, თემატური სურათი, ნატურმორტი და ქალაქის ხედი. მხატვარი მონაწილეობდა როგორც რესპუბლიკურ, ასევე საკავშირო და საერთაშორისო გამოფენებში.

მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვის სახელმწიფო გალერეაში რუსეთში და ასევე კერძო კოლექციებში მრავალ ქვეყანაში როგორიცაა საქართველო, გერმანია, რუსეთი, აშშ, ინგლისი, სომხეთი, საფრანგეთი, იაპონია, იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, ინდოეთი, ჩინეთი.

## ლადო გუდიაშვილის 120 წლის იუბილე გამოფენებით აღინიშნება



ქართული თანამედროვე ხელოვნების ერთ-ერთი ფუძემდებლის ლადო გუდიაშვილის 120 წლის იუბილე წელს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებებით აღინიშნება. ამ თარიღთან დაკავშირებით ლადო გუდიაშვილის ფონდი 4 საიუბილეო გამოფენას გაუწევს ორგანიზებას.

პირველი გამოფენა 5 მაისს ლადო გუდიაშვილის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება. ექსპოზიციაზე წარმოდგენილი იქნება მხატვრის 40-იანი წლების ფერწერა და გრაფიკა. გამოფენა 6 მაისიდან 19 ივნისამდე გაგრძელდება.

ლადო გუდიაშვილის 50-იანი წლების ფერწერა და გრაფიკა გამოიფინება მომდევნო ექსპოზიციაზე, რომელიც 22 ივნისიდან 25 ოქტომბრამდე მოეწყობა.

მესამე გამოფენაზე, რომელიც პირველი ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე გაგრძელდება, ლადო გუდიაშვილის გრაფიკული ნამუშევრები იქნება წარმოდგენილი.

მეოთხე გამოფენა კი პირველი დეკემბრიდან 30 დეკემბრის ჩათვლითაა დაგეგმილი, სადაც დამთვალიერებელს დიდი ქართველი მხატვრის ლადო გუდიაშვილის ბოლო პერიოდის ნამუშევრების გაცნობის საშუალება მიეცემა.

## ხანძთაში მიწისქვეშა სათავსები აღმოაჩინეს



დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთ ქართულ ტაძარში აქამდე უცნობი სათავსები აღმოაჩინეს.

ხანძთაში მკვლევარებმა მონასტრის დასავლეთით ქვით ნაგებ რამდენიმე ოთახს მიაკვლიეს.

ინფორმაცია ამის შესახებ კვლევის ცენტრმა გაავრცელა:

— ხანძთის მონასტრის დასავლეთით, 500 მეტრზე, 20-ზე მეტ მიწისქვეშა სათავსს მივაკვლიეთ. სათავსები ნაგებია ქვით და თითოეული რამდენიმე ოთახისგან შედგება. მიწისქვეშა სათავსებში მრავლად არის ქვევრები. სავარაუდოდ, სათავსებს ხანძთის მონასტრისათვის სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



### მედიკო სიხარულიძის ნათელ ხსოვნას

დრო ვერ განკურნავს იმ ტკივილს, რასაც უშენობა ჰქვია. დღეს 40 დღე სრულდება, რაც წახვედი ჩვენგან, მაგრამ შენი ოჯახის წევრებს თვალებზე ცრემლი არ შეშრობიათ. მუდამ მოგიგონებთ, არასდროს დაგივიწყებთ.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. ამინ!

*ოჯახი*

ნარგიზა დიასამიძესა და მთელ მის ოჯახს თანავუგრძნობთ მეუღლის

### არსენ მგელაძის

გარდაცვალების გამო.

გულიკო ბალაძე, თენგიზ და გიგა დარბაიძეები

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# TV პროგრამა

**ხუთშაბათი 5 მაისი**

**07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00** "მოამბე" **07.05, 09.15** "დილა" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **12.30** "ტრანსმისია" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.05** "წიგნების თარო" **14.30** ან/სერ. "კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **15.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი — წინასწარი შეკვეთის გარეშე" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** ტ/სერ. "**ქესლი**" **19.00** "ტელებლოგი" **19.30** "სიტყვების თამაში" **20.40** "ინტერვიუ" — სალომე ასათიანთან ერთად **21.10** თოქ-შოუ: "რეალური სივრცე" **22.00** დ/ფ "თოფ-გიარი" **23.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **00.00** "კომუნიკატორი" **01.10** მხ/ფ "**დახურული ფარდა**" **03.00** "პირადი ექიმი"

**08.00, 10.10, 12.00, 15.00, 17.00, 19.00, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **10.00** "გეოფაქტორი" **11.00** დ/ფ "გიიკების რევანში" **13.00** დ/ფ "ანატოლიის გარგარი" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**ნიკიტა**" **18.00** დ/ფ "კოფი ანანი" **20.00** "მოამბე" (**5** ენაზე) **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.30, 14.40** სერ. "**ორი ბედი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.35** ქრონიკა **07.35, 08.10, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ "**ბამბის ველი**" **11.20** სერ. "**დახურული სკოლა**" **12.30** დღის შოუ **16.00** სერ. "**თანხმობა**" **17.35, 19.03** სერ. "**პატარძალი**" **20.55** სერ. "**ელიფი**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **00.00** ქ.მხ/ფ "**ბალანსი**" **ანუ ჩაო ჯორდანო** **01.50** მხ/ფ "**ეს უხერხული მომენტი**" **03.25** მხ/ფ "**მიჩუმებული ყვირილი**"

**06.30** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30, 14.05** "შუა დღე" **15.55** სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" **16.55** სერ. "**ინდური საგა**" **18.45** სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" **19.45, 20.05** სერ. "**აღთქმა**" **22.00** პროფილი **00.00** P.S. **01.00, 03.30** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი

**8.00** ან/სერ. "**ავატარი - ლეგენდა აანგის შესახებ**" **9.00, 19.30** სერ. "**მენტალისტი**" **10.00, 18.30** სერ. "**კარგი ცოლი**" **11.00, 3.00** სერ. "**გრეის ანატომია**" **13.00** სერ. "**ძვლები**" **15.00** შუადღე **17.30** ცოლები და ქმრები **18.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **20.30 20.30 22.30** სერ. "**ნამდვილი დეტექტივი**" **23.40** სერ. "**ჯოჯოხეთი ბორბლებზე**" **0.40** მხ/ფ "**ვარსკვლავური ომები**"

**06.10** დ/ფ "სუალტო" **06.40** პატერიკი **06.50** სჯანი **06.20** ქართული ალბომი **06.50** მოკ. მხ/ფ "**ქორწილი**" **06.35** დ/ფ "ქართული გარმონი" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **12.10** მხ/ფ "**აბეზარა**" **13.30** შუადღე ერთსულოვნებაზე **14.30** დეკორატიული ფლორა "მონსტერა დელიციონი" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.10** ივერიის ეკლესია **15.25** დ/ფ "ჰერეთი" I,II; **16.10** ჩვენი ფონდი **16.30** ძველი აფიშა "ჭინჭრაქა" **17.05** დ/ფ "ლაზი ვორე" **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** პორტრეტები **20.00** დ/ფ **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** ლექციები მეფუტკრეობაზე **21.40** ფსალმუნის განმარტება **21.45** განთიადის სიუჟეტი **22.25** დ/ფ **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** დ/ფ **00.25** ისტორიის დღიური **01.25** შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო **7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები"**-33** (ჟესტიკულაციით) **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05** სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 18.30, 0.00** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დოკ/ფ "პროფესია მოგზაური" **14.05, 1.00** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30** დოკ/სერ. "მსოფლიოს საუკეთესო სახლები" **16.05, 17.05** სერ. "**კარმელიტა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.05, 2.30** სერ. "**ქალთა ექიმი**" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.45** სერ. "**ფართოა მდინარე**" **21.30** თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი" **22.30** სერ. "**შენიღბული**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

5 მაისისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.2238 |
| ევრო | 2.5756 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.2632 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3608 |

## ამინდის პროგნოზი 5 მაისისთვის





## 3 მაისიდან

ჰარიეტ ბიჩერ სტოუ

**ბიძია თომას ქოხი**

ოქროს ბიბლიოთეკა. ტომი 1



წიგნის სპეციალური ფასი 9,5 ლარი
გაზეთთან ერთად 10 ლარი

წიგნი მოგვითხრობს ამერიკელი შავკანიანი მონების ცხოვრების შესახებ.

ბიძია თომა, კასი, ჯორჯ ჰარისი, ელიზა და სხვა უამრავი ადამიანი მონის მძიმე უღელს ატარებს. მათი ბედი ბატონების ხელშია.

წიგნმა დიდი როლი ითამაშა მონობის გაუქმებაში ამერიკაში.

## 5 მაისიდან

**დევიდ ბექჰემი**

**ჩემი მხრიდან**



მაგარ ყდაში ჩასმული დევიდ ბექჰემის 500-გვერდიანი ავტობიოგრაფიული წიგნი ცნობილი ფეხბურთელის ცხოვრების შესახებ მოგვითხრობს.

ბექჰემი გულახდილად ყვება როგორც თავისი კარიერის, ასევე პირადი ცხოვრების, ოჯახის, მის გარშემო აგორებული სკანდალების, სირთულეებისა და გამართლებების შესახებ.

წიგნის სპეციალური ფასი 6,5 ლარი
გაზეთთან ერთად 7 ლარი


## კალეიდოსკოპი



### ვიკინგის გარეგნობიანმა ნორვეგიელმა ინსტაგრამი დაიპყრო



ნორვეგიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ლეიტენანტის ლას მატბერგის ფოტოსურათმა ინსტაგრამი დაიპყრო, რომლის მომხმარებლებმა მისი გარეგნობის ვიკინგებთან მსგავსება შენიშნეს.

მატბერგმა, რომელიც ქალაქ სტავანგერის მკვიდრია, სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარი გვერდი 2013 წელს შექმნა. ამ ხნის განმავლობაში მის აკაუნტს 109 ათასზე მეტი ხელისმომწერი გაუჩნდა. 30 წლის მამაკაცის თქმით, საკუთარი ფიზიკური ფორმის შესანარჩუნებლად, რაც მას პოპულარობის მოპოვებაში ეხმარება, სავარჯიშო დარბაზებში სიარულის ნაცვლად ხის ჩეხვითაა დაკავებული.

### ასი წლის ბრიტანელი ვოგის მოდელი გახდა




დიდი ბრიტანეთის ქალაქ ბირმინგემის მცხოვრები პირველი 100 წლის მოდელი გახდა, რომელმაც ჟურნალ ვოგის ფოტოსესიაში მიიღო მონაწილეობა. კადრი სარეკლამო კამპანიიდან გამოცემამ საკუთარ ტვიტერში გამოაქვეყნა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მანეკენი ბო გილბერტი სამოდელო კამპანიის მაღაზიათა ქსელის სახე იქნება. ფოტოსესიისთვის ბრიტანელმა ქალბატონმა ვალენტინოს სათვალე მოირგო, ასევე – ვიქტორია ბექჰემის ტანსაცმელი, დრეს ვან ნოტენის ლაბადა, ცელინეს ფეხსაცმელი და დი როუვის სამკაულები.

აღსანიშნავია, რომ ეს 100 წლის მოდელისთვის პირველი სარეკლამო გადაღებები იყო. ჟურნალის ნომერი, რომელსაც გილბერტის სურათი დაამშვენებს, 5 მაისს გამოვა.

### ბრიტნი სპირსმა სელფი საცურაო კოსტუმში გადაიღო



ამერიკელმა პოპ-მომღერალმა ბრიტნი სპირსმა სელფი თავის საყვარელ მწვანე-ნეონისფერ საცურაო კოსტუმში გადაიღო, რომელიც ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– დღეს სამი ახალი საცურაო კოსტუმი ვიყიდე. ეს ჩემი ყველაზე საყვარელია! – მიაწერა სელფის 34 წლის მომღერალმა. სპირსის გვერდს ინსტაგრამში 10 მილიონზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. სპირსის საცურაო კოსტუმში გამოწყობილმა ფოტოსურათმა ექვს საათში 132 ათასამდე მოწონება მიიღო.

ამერიკელი ვარსკვლავი პირველად არ აქვეყნებს სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე თავისი ცხოვრების ამსახველ ფოტოსურათს. მიმდინარე წლის თებერვალში სპირსმა ინსტაგრამში გამოაქვეყნა ერთიანად დალურჯებული თავისი ფეხების სურათები და ეს ახალ შოუზე მძიმე მუშაობით ახსნა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## იუმორი



ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– როდესაც სვამ, თავს როგორ ატყობ, რომ უკვე თვრები?

– როდესაც ვგრძნობ, რომ ცოლი მომწონს, დალევას თავს ვანებებ.

•••

შუაღამეა. გოგოს ქუჩაში ვიღაც წვერგაბურძგნილი კაცი გამოეკიდა. გარბის გოგო, მისდევს კაცი. გოგონა სადარბაზოში შევარდა, შეჰყვა კაციც, გოგო კიბეზე არბის, კაციც მიჰყვება, გოგონამ ბოლო სართულზე აირბინა, გასაქცევი აღარსადაა და საშინელების მოლოდინში თვალები დახუჭა. კაცი მივიდა, გოგონას მხარზე ხელი დაარტყა და ეუბნება:

– ახლა შენ გამომეკიდე!

•••

ჟურნალისტი მოხუც კაცს ეკითხება:

– პაპი, რამდენი წლის ხარ?

– 115 წლის, შვილო.

– ვაა! თან ღვინოსაც სვამ და სიგარეტსაც ეწევი, ხო?!

– მა რა ვქნა, შვილო, ისე აღარა ვკვდები და...

•••

შვილი მამას ეკითხება:

– მამი, გველები როგორ ლაპარაკობენ?

კაცმა სიდედრს გახედა და გასძახა:

– სიდედრო, ხმა ამოიღე, ბავშვს აინტერესებს!

•••

სოფლელი ცოლ-ქმარი ოპერაში სპექტაკლს უყურებს. ქმარი ცოლს ეუბნება:

– იმ ქალს რა მაგარი ვოკალი აქვს...

– ვოკალის ყურებას თავი დაანებე და სიმღერას მოუსმინე!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## 6 მაისიდან



გიორგი ნადირაძე

**სტალინი – ქართველი კაცი?**

წიგნის სპეციალური ფასი 7,5 ლარი
გაზეთთან ერთად 8 ლარი


### ჯაბა კანკავა რეიმსიდან წასვლას აპირებს



საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა სეზონის ბოლოს ფრანგული რეიმსის დატოვებას აპირებს. რეიმსი ამჟამად გასავარდნ ზონაშია და ორ დარჩენილ შეხვედრაში კანკავას გუნდი მარსელს და ლიონს დაუპირისპირდება, ამიტომ რეიმსს გადარჩენის საკმაოდ მცირე შანსი აქვს.

სწორედ ეს არის მთავარი მიზეზი იმის, რომ ჯაბა გუნდის გამოცვლას შეეცდება, რადგან მას საფრანგეთის მეორე დივიზიონში თამაში არ სურს.

კანკავას რამდენიმე წინადადება აქვს სხვადასხვა ფრანგული გუნდებისგან, თუმცა კონკრეტული კლუბი არ სახელდება.

ჯაბა კანკავა რეიმსში 2015 წლის ზაფხულში გადავიდა, მანამდე კი უკრაინული დნეპრის ღირსებას იცავდა, რომელთან ერთადაც ევროპის ლიგის ფინალშიც გავიდა.

### მანჩესტერ იუნაიტედი გრიზმანში 80 მილიონ ევროს იხდის



მადრიდის ატლეტიკოს ფრანგი ფორვარდი ანტუან გრიზმანი წელს შესანიშნავ სეზონს ატარებს და მის ანგარიშზე უკვე 37 გატანილი გოლია.

გრიზმანის შეძენის სურვილი აქვს მანჩესტერ იუნაიტედს, რომელიც მზად არის, 80 მილიონი ევრო გადაიხადოს, რაც გრიზმანის სატრანსფერო თანხაა.

მიმდინარე ზაფხულში მანჩესტერელების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ ატლეტიკოს ფრანგი თავდამსხმელის შეძენაა.

გრიზმანი ატლეტიკოში 2014 წელს გადავიდა და მას შემდეგ დიეგო სიმეონეს გუნდში თითქმის შეუცვლელი ფიგურაა. ატლეტიკომდე გრიზმანი 5 წლის მანძილზე რეალ სოსიედადის ღირსებას იცავდა.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ზღვისპირა კურორტი ლიტვაში; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. ლუთერანული ეკლესიის უფროსი მღვდელი; 5. გერმანელი, ექიმი, თეოლოგი, მისიონერი, მუსიკათმცოდნე, ორღანისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. მოურიდებელი, უტიფარი, ურცხვი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ჩაის მწარმოებელი ბრიტანული ფირმა; 15. ქალაქი-მუზეუმი საქართველოში; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 18. სატანვარჯიშო იარაღი.

**თარაზულად:** 4. უწახნაგოდ, მრგვალად დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. აზერბაიჯანელ ქალთა ცეკვა; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. საცხოვრებელი მასივი თბილისში; 11. დენის სიმძლავრის საზომი ერთეული; 12. ცხარე საწებელი; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. გერმანული ქიმიურ-სამრეწველო კონცერნი; 19. ქეიფი, დროსტარება; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. ქართული ლუდი; 22. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 23. მსუსხავი ბალახი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

